





ქართული  
ზნელოვნება

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება  
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ  
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სერია: „მატირიალური კულტურის ძეგლები“

ქეკელი  
ქეკელი  
ქეკელი



სერიის რედაქტორი — ირაკლი ციციშვილი  
რედაქტორი — ვახტანგ ცინცაძე

Редактор серии — Ираклий Цицишвили  
Редактор Вахтанг Цинцадзе

გ ა მ თ ე ლ ი ს   ს ა უ თ შ ა ლ მ ა რ ი ბ ი ს   ს ა წ ე ბ ი ს ე ბ ე ზ ე ბ

---

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი ბოლქვაძე (პ/მზ.  
მდივანი), ლადო გუდიაშვილი, ოთარ თაყაიშვილი, ირაკლი ჭაჭავაძე, ნიკო კაცხვიანი, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მატარაძე, ოთარ სანგაშვილი,  
თინათინ შერაძე, ზიორაძე ჩიტაია, ვახტანგ ცინცაძე.

„აბლის მეგობრის“ ორმოცდაშვიდი წიგნი

1964 წელს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების კრებულის „ძეგლის მეგობრის“ დაარსება უცილობლად იყო მეტად სასიქადულო მოვლენა ჩვენი ძეგლების დაცვა-პატრონობის დარგში.

დღეს, როდესაც საზოგადოებრივ საწყისებზე გამოვიდა კრებულის უკვე ორმოცდამეათე ნომერი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან გაამართლა იმედები და გახდა არა მარტო ჩვენი კულტურის ძეგლთა მფარველი, არამედ ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და საამაყო ჟურნალი. აქ წლების მანძილზე იბეჭდება ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების და ახალგაზრდა მკვლევართა მეცნიერულ-პოპულარული სტატიები, გამოკვლევები, პუბლიკაციები ხელოვნების ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის დარგში. გაშუქებულია ძეგლთა აღდგენა-რესტავრაციის მეთოდები, საინჟინერო მასალები და მრავალი სხვა. კრებული კარგადაა ილუსტრირებული. ალბათ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ძეგლის მეგობარი“ დღეს უკვე აუცილებელსა და მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ყველა მკვლევართათვის.

არ შეიძლება ჩვენი კრებულის როლიც დღეს, როდესაც კულტურის ძეგლთა დაცვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. თითქმის მოისპო ძეგლების დაზიანება, კედლების მჯღაბნელობა, ძეგლების გამოყენება საზიანო წარმოებათა მოსაწყობად.

ჩვენი პარტია და მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იწენს ძეგლთა დაცვისადმი. ამის დამადასტურებელია თუნდაც უკანასკნელ წლებში ძეგლთა დაცვისადმი მიძღვნილი მრავალი მნიშვნელოვანი დადგენილება და სახელმწიფო კანონი — „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

ჩვენმა ჭალარა ძეგლებმა მართალია დაკარგეს თავისი პირვანდელი ფუნქცია, სამაგიეროდ მათ მიენიჭა ახალი ხარისხი, ახალი შინაარსი — ერის კულტურული მემკვიდრეობისა. თანამედროვე კულტურულ საზოგადოებაში მკვეთრად ვლინდება თვითშეგნების საოცარი აღმავლობა, ისტორიისა და კულტურის ძეგლებისადმი ცხოველი ინტერესი და მზრუნველობა. სასიხარულოა, რომ დღეს ძეგლების დაცვა ყველაასათვის შეგნებულ მოთხოვნილებად იქცა.

„ძეგლის მეგობრის“ წინაშე ჯერ კიდევ მრავალი ამოცანაა — საუკუნეთა მანძილზე შემორჩენილი ძეგლები უნდა დავიცვათ ჩვენი ხალხისა და ეპოქის შესაფერისი მზრუნველობით. იმედი გვაქვს, რომ იგი ღირსეულად შეიტანს წვლილს ამ დიდსა და კეთილშობილურ საქმეში.



ახალი კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მშრომელ ხალხს გადასცა, არა მარტო მატერიალური სიმდიდრე, არამედ მთელი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც მანამდე გაბატონებული კლასების ხელში იმყოფებოდა. ხალხის მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობა მის კანონიერ მესაკუთხეს გადაეცა.

ვ.ი. ლენინი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე და მის შემდეგაც სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში, როდესაც ის კოლხალურ თეორიულ და ირგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა, პულობდა დროს ყურადღება მიექცია ან უმნიშვნელოვანესი საქმისათვის. ვ.ი. ლენინი მოითხოვდა რომ საუკუნეების მანძილზე ხალხის მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობა ჩვენი პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გამხდარიყო. დიდი ბელადის ეს მოთხოვნა გახდა ამოსავალი წერტილი იმ მზრუნველობისა, რასაც იქნენ ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების მოვლა პატრონობისათვის. ჩვენი სახელმწიფო დიდძალ სახსრებს ხარჯავს ამ მიმართულებით, სისტემატურად იზრდება ახივლობანი ძეგლების აღდგენა-კონსერვაციისა და გამოყენებისათვის. დიდი ამოცანებია დასახული მიმდინარე ხუთწლედში. სკკპ XXV ყრილობამ მნიშვნელოვანი პრობლემები დაუხატა კულტურის დარგის მუშაებს. გათვალისწინებულია სამუშეუშო მუშაობის, აგრეთვე ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და პრობაგანდის გაუმჯობესება. ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე წევნა ქვეყანაში შემუშავებულ იქნა მთელი რიგი სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, თუ რა თანამდევრობით სრულდება ამ დარგში ჩვენი პარტიის XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. აქ უწინარეს ყოვლისა უნდა დავახებლოთ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის და გამოყენების ახალი საკავშირო და რესპუბლიკური კანონები რომლებშიაც კომპლექსურად არის ჩამოყალიბებული ყველა საკითხი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გამოყენებას ეხება. როდესაც საკითხი დგას კულტურის ძეგლების დაცვის შესახებ, უწინარეს ყოვლისა ისმის კითხვა: თუ რა უნდა დავიცვათ, რა უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების ზრუნვის საგანი. ცნობილ რუს მწერალ და სახელმწიფო მოღვაწესთან ვ. ბონნ-ბრუეინთან საუბარში ვ. ი. ლენინი მოითხოვდა: „მთელი სიძველე ჩვენ გულმოდგინედ უნდა დავიცვათ, არა მარტო, როგორც ხელოვნების ძეგლები, ეს თავისათავად, არამედ ძველ დროთა ცხოვრებისა და ყოფის ძეგლები: აქ უნდა მოვიდნენ ექსკურსიები; აქ უნდა გაიმართოს მუზეუმი, აქ უნდა უტარდებოდეთ მნახველებს დაწვრილებითი ისტორიული ახსნა-განმარტებანი“. დიდი ბელადის ამ სიტყვებში მოცემულია მთელი არსი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ, რომ მომავლისათვის აუცილებელია, არა მარტო კლასიკური ხელოვნების ნიმუშები, არამედ ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და შემოქმედების ძეგლები. ახალი კანონმდებლობა სწორედ ამ კუთხით უდგება ძეგლების დაცვისა და გამოყენების საკითხებს. ახალ კანონში ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაც-

ვის შესახებ კონკრეტულად არის დასახელებული ყველა სახის ძეგლი, რომელზეც დაცვა სჭირდება. აქ საკითხი ეხება არა მარტო ძეგლებსა და დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლების დაცვას, არა მარტო იმ ძეგლების მოვლა-პატრონობას, რომლებიც აქამდე სახელმწიფო აღრიცხვაზე იყო აყვანილი, არამედ მთელი კულტურული მემკვიდრეობის დაცვას უძველესი დროიდან დღემდე, იმ ძეგლების მზარუნველობას, რომლებიც აქამდე ოფიციალურად არ იყო მიჩნეული ძეგლად და არც ყოფილა რეგისტრირებული. ახალი კანონმდებლობით საგრძობლად გაიზარდა რაოდენობა იმ ძეგლებისა, რომლებიც სახელმწიფო დაცვას უნდა დაექვემდებაროს. ამ კანონში სრულად არის მოყვანილი კულტურის ძეგლებთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ეს იქნება დაცვა, აღრიცხვა, შევრთვა რესტავრაცია, გამოყენება თუ სხვა. იგი პასუხობს ყველა იმ კითხვას, რომლებიც წარმოიშობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების პრაქტიკული განხორციელების დროს.

გასული წლის ბოლოს საქართველოს კე ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დიდმნიშვნელოვანი დადგენილება — „რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვა-გამოყენებასა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.“ ამ დადგენილებაში დასახულია ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც დიდად ეხმარება ამ დარგში მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჩვენ, კულტურის დარგის მუშაკებს განსაკუთრებულ სიზარულს გვანიჭებს ის, რომ ჩვენს ქვეყანაში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა საკონსტიტუციო კანონმდებლობით არის განმტკიცებული. ეს ჩაწერილია სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში. მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების დაცვის საკითხი ახასუღია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში. კონსტიტუციის 72-ე მუხლში, სადაც ჩვენი რესპუბლიკის გამგებლობაზეა ლაპარაკი, ვკითხულობთ „საქართველოს სს რესპუბლიკის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით ექვემდებარება ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა“. ეს არის კულტურულ მემკვიდრეობაზე სახელმწიფოებრივი ზრუნვის საკანონმდებლო გამოსატყულება.

ჩვენს ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვა სახალხო საქმედ არის გადაქცეული. მასზე ზრუნავს მთელი საზოგადოებრიობა. ამის დასტურია კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური საზოგადოება, რომელიც ფრიად სასარგებლო საქმეს აკეთებს. ორი ათეული წელია მოქმედებს ეს „საზოგადოება“ ჩვენს რესპუბლიკაში და მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს კულტურის ძეგლების დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამ „საზოგადოების“ მოღვაწეობის პრაქტიკა მოწმობს, რომ ძეგლთა დაცვის საქმე წარმატებით განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მასში მთელი საზოგადოებრიობა იქნება ჩაბმული, თუ ყოველი მოქალაქე განიმსჭვალება ამ კეთილშობილური მოვალეობის გრძობით. საქართველოს ახალი კონსტიტუციის 66-ე მუხლში პირდაპირ ჩაწერილია: „ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნებისათვის ზრუნვა საქართველოს სსრ მოქალაქეთა ვალი და მოვალეობაა“. ამ მუხლში ჩაქაოვილია მთელი არსი იმისა, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეს.

რა ამოცანები დგას ახლა ამ სახელმძღვანელო დოკუმენტების მიღებასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე? პასუხობს თუ არა ისტორიისა და კულტურის ძეგლები



ბის დაცვისა და გამოყენების დღევანდელი დონე იმ მოთხოვნებს, რომლებიც მწიფდება ჩამოყალიბებულნი. როგორც ითქვა, ჩვენი სახელმწიფო, დიდად ზრუნავს მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების დაცვისათვის, ნაყოფიერად მუშაობს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება მათი მოვლა-პატრონობისათვის, მაგრამ ჩვენ ადგილებზე მაინც ვერ ვიყენებთ არსებულ შესაძლებლობებს. ამიტომაც სახეზეა ბევრი ნაკლოვანება. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, მუზეუმები საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვერ ატარებენ აქტიურ ღონისძიებებს ძეგლების მოვლა-პატრონობისათვის. მაინცდამაინც დიდი მზრუნველობა არ ემჩნევა გვიანდელი პერიოდის ძეგლებს; ხალხური ხუროთმოძღვრებისა და სამოქალაქო ყოფითი ხასიათის ნაგებობებს, XIX საუკუნის, საკულტო თუ საერო არქიტექტურულ ძეგლებს. ცალკეული დაწესებულებები, რომლებიც სამეურნეო დანიშნულებისათვის იყენებდნენ შემოსენებულ ნაგებობებს, ნაკლებად ზრუნავდნენ მათ დაცვაზე. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის კანონი ფართო შესაძლებლობას ჰქმნის უროვნული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის გაძლიერებისათვის. ახალ პრობლემას სვამს ეს კანონი ჩვენს წინაშე. ერთ-ერთ ასეთ პრობლემად ითვლება ისტორიული ქალაქის განაშენიანება, არქიტექტურული უბნების და ნაგებობათა შენარჩუნება.

რა თქმა უნდა ამ საკითხს აქამდეც ექცეოდა ყურადღება და გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა თბილისის, მცხეთის და სხვა ქალაქების მიმართ, მაგრამ ეს დიდმნიშვნელოვანი პრობლემა საკანონმდებლო დონემდე არ ყოფილა აყვანილი. ახალ კანონში კი პირდაპირ არის ეს საკითხი დაყენებული. მისი განხორციელება ყველა ჩვენთაგანის მოვალეობაა.

როგორც ცნობილია, ქალაქ ქუთაისში XIX საუკუნეზე ადრინდელი საზოგადოებრივი და სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობა გადარჩენილი არ არის. ქალაქის განაშენიანება XIX საუკუნეში შეიცვალა, მაგრამ ეს შეცვლა მოხდა ქალაქის დამახასიათებელი კოლორიტის შენარჩუნების საფუძველზე. ტრადიციული შენობები, რომლებსაც შეთვისებული ჰქონდათ კლასიკური ხუროთმოძღვრების ცალკეული ფორმები, უნარჩუნებდა, ქუთაისის ადრინდელ გარეგნულ სახეს, რომელიც მხოლოდ მას გააჩნდა და სხვა ქალაქს არ ახასიათებდა, ამიტომაც გამოირჩეოდა საქართველოს ქალაქებიდან ქუთაისი ყველაზე კოლორიტულ ქალაქად. მაგრამ შემდეგში როდესაც დაიწყო ქალაქის რეკონსტრუქცია — განაშენება, სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა ამ კოლორიტის შენარჩუნების გაუთვალისწინებლად, რის შედეგადაც დაინგრა ისეთი შენობები, რომელთაც გარკვეული ისტორიულ-კულტურული და ყოფითი მნიშვნელობა ჰქონდათ. ჩვენს ინტელიგენციას ხშირად გამოუთქვამს გულისტკივილი იმის შესახებ, რომ ბევრი შენობა ქალაქში გაუმართებლად იქნა აღებული, მაგ. ასათიანის, ბაქრაძისა და ნიკოლაძისეული სასტუმო; დასახელება სხვებისაც შეიძლება, მაგრამ ახლა რას ვუშველით. ქუჩებისა და საცხოვრებელი სახლების სელაღებით აღებამ დაუკარგა ქუთაისის თავისი კოლორიტული სახე. შემდეგ პერიოდში მდგომარეობა გამოსწორდა. ქუჩების რეკონსტრუქცია და შენობების აღება ისე აღაჩნდნენ, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებს მაინც ჰქონდა ადგილი, მიუხედავად შემოსენებელი დანაკარგისა, ქუთაისის ძველ უბნებში ჯერ კიდევ არის გადარჩენილი საზოგადოებრივი და სამოქალაქო ნაგებობანი, რომელთაც გარკვეული კულტურული, ყოფითი და ისტორიული ღირებულება აქვს. ამიტომაც ქალაქის ძველი უბნები უნდა შევიინარჩუნოთ თავიანთი და-

მასხასიათებელი გარეგნული იერსახით. ბუნებრივია, რომ ქი იზრდება, ადამიანთა მოთხოვნილება ფართოვდება და ძველი შენობები ვერ აკმაყოფილებენ დღევანდელი ადამიანის გაზრდილ მოთხოვნებს, მაგრამ როდესაც საკითხი ეჭება ხალხურ სურთომოდგრებას, ქალაქის დამახასიათებელ იერსახეს, მისი განუმეორებელი კოლორიტის დაცვის საქმეს, ამ კომპრომისზე წასვლა საჭიროა. რა თქმა უნდა, უვარგისი შენობები და ძველი ქობახები უნდა განახლდეს მაგრამ ამ განახლებამ არ უნდა დაარღვიოს ძველი განაშენიანების ხასიათი. არ არის ნაინცდამაინც აუცილებელი მრავალსართულიანი შენობები წამოვიჭროთ ძველ უბნებში, სადაც ძირითადად ორსართულიანი ნაგებობები დომინანტობს.

ჩვენ აქ ქუთაისზე ვლაპარაკობთ, მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას სხვა ქალაქებზეც. ამიტომაც საჭიროა ქალაქების მშენებლობის დამპროექტებელი ორგანიზაციები, პროექტების ავტორები ამ საკითხს უფრო საფრთხილით მოეპყრან, არ უნდა აჩქარდნენ. რამდენიმე წლის წინათ ქუთაისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის ტექნიკურ საბჭოზე თბილისელმა არქიტექტორებმა „ოქროს ნარდახის“ რეკონსტრუქციის პროექტი წარმოადგინეს, მაგრამ გაირკვა, რომ ისინი ამ ძველის შესახებ არც ერთ წყაროს არ იცნობდნენ, რომელშიც მეტნაკლებად იყო მოცემული ამ ნაგებობის ადრეული აღწერა. ამიტომაც პროექტში წარმოდგენილი იყო არქიტექტორთა ფანტაზიით შექმნილი შენობა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო უძველეს ნაგებობასთან. ავტორებმა თავაზიანად მიიღეს სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და რეკონსტრუქციაც მიზანშეწონილად ჩატარდა.

ამჟამად, ის შენობები, რომლებსაც ისტორიული და კულტურულ-მხატვრული ღირებულება აქვთ, სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ დაწესებულებათა, ან კერძო მფლობელობაშია და ახალი კანონი სწორედ მათ აკისრებს პასუხისმგებლობას მათ მოვლა-პატრონობაზე.

ახალი კანონმდებლობა ნაგებობის გამოყენების საკითხსაც არკვევს. მასში ნათქვამია, რომ ძველის გამოყენება შეიძლება სამეურნეო დანიშნულებისათვის, მაგრამ ის ორგანიზაციები, რომლებიც ამ უფლებით სარგებლობენ მოვალენი არიან შეასრულონ ძველთა დაცვის წესები. როდესაც საკითხი დგება ძველების სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყენებაზე ვფიქრობთ, მიზანშეწონილია აქ დაცული იქნას გარკვეული სისტემა. პირველ რიგში ასეთ ნაგებობებს უნდა იყენებდნენ მონათესავე დაწესებულებები (მუზეუმები, ბიბლიოთეკები, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები), რომლებიც თავიანთი საქმიანობით არიან მოწოდებული ძველთა დაცვისათვის. ცხადია, ასეთ პირობებში რეალურად განხორციელდება ზემოხსენებული ძველების დაცვის საქმე.

ახალ კანონმდებლობაში განსაკუთრებული აღვილი უჭირავს საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველ ძველების დაცვისა და გამოყენების საკითხს. ქუთაისი მდიდარი რევოლუციური წარსულის მქონე ქალაქია, რომლის შესახებ დოკუმენტურად მოგვითხრობენ ქალაქში დაცული ისტორიულ-რევოლუციური ადგილები, მემორიალური კომპლექსები. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქუთაისში ბევრი ნაგებობა იქნა აშენებული, რომლებიც ქართული საბჭოთა არქიტექტურის მნიშვნელოვანი შენაძენია, უკანასკნელ წლებში მოეწყო ახალი უბნები და კვარტალები საზოგადოებრივი დანიშნულებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ხასიათის არქიტექტურული შენობებით. ქალაქში ბევრი მონუმენტური ქანდაკება დგას. ჩვენს ქალაქს ამშვენებს ვ.ი. ლენინის რამოდენიმე ძეგლი. უნდა აღინიშნოს, რომ საქარ-



თველოში ვ. ი. ლენინის ძეგლი პირველად ქუთაისში დაიდგა — 1924 წელს მისი ავტორია ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელი იაკობ ნიკოლაძე. ქუთაისში თელი საბჭოთა მონუმენტური ქანდაკების მნიშვნელოვან შენატუნად ითვლებიან აგრეთვე ს. კიროვის, ა. წულუკიძის, ზ. ფალიაშვილის, ს. ორჯონიკიძის, ი. ჭავჭავაძის, ი. ნიკოლაძის და სხვათა ძეგლები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა. ყველაფერი ეს ჩვენი ეპოქის კულტურულ მემკვიდრეობას გვკეთვის და ისინი გულმოდგინედ უნდა დავიცვათ. კულტურის სამინისტროს უწყებაში ახლად შექმნილ სამმართველოს დიდი მისია აკისრია ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში და ცხადია იგი ამ ეროვნულ საქმეს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აიყვანს.

კანონმდებლობაში ლაპარაკია ძეგლების შეგროვების შესახებ. ისტორიულ ძეგლებს უნდა აგროვებდნენ მხოლოდ ის დაწესებულებანი, ვისაც ამისი იურიდიული უფლება აქვს. ასეთი უფლების მქონე დაწესებულებები მუზეუმებია და ისინი არიან ამ საქმისათვის მოწოდებულნი, ცალკეულ დაინტერესებულ პირთა და ენთუზიაზტთა, კეთილშობილური მოვალეობაა არა განცალკავებულად მოქმედება-კოლექციების შესაგროვებლად ხსენებულ დაწესებულებათა გვერდის ავლით, რაც ეროვნული საქმისათვის გულშემატკივრობის ნიშნად მიაჩნით, არამედ დაეხმარონ ამ უფლებით აღჭურვილ დაწესებულებებს.

ახალი კანონი მოითხოვს მოქალაქეთა პირად სარგებლობაში არსებული ძეგლების დაცვას. მოქალაქენი მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ და დაიცვან ეს ძეგლები დაზიანებისაგან. ერთი სიტყვით, ახალი კანონმდებლობა ახალ ფურცელს შლის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა-გამოყენების საქმეში და ეტყვს გარეშეა, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა, რომელიც ერთგულია წინაპართა ნაკვალევსა, მისი ისტორიული, რევოლუციური და შრომითი ტრადიციებისა, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ერის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გამოყენების საქმეში. ეს არის თითოეული ჩვენთაგანის საკონსტიტუციო მოვალეობა.



**მაბარიალური კულტურის ძეგლები კვემო-ქართლის ისტორიულ-  
 არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით**

1948 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის ხელშეწყობის ისტორიის ინსტიტუტმა წამოიწყო ძველი საქართველოს ერთ-ერთი უნივერსიტეტის რაიონის, ისტორიული კვემო-ქართლის ყოველმხრივი და თანმიმდევრობითი შესწავლა.

1948-1950 წლების მანძილზე ექსპედიციამ ჩაატარა ოთხი კამპანია აწინდელ თეთრი წყაროს რაიონში. 1948 წლის განმავლობაში ექსპედიციამ გამოავლინა და შეისწავლა თეთრი წყაროს ირგვლივ მდებარე (ქციის, ალგეთის, ჭიჭკავას, ირაგის, გუდარების ხეობათა) ძეგლები. 1949 წელს გრძელდებოდა ამავე უბნის (ბოგვის, ასურეთის, კოდის, ზრბითის ხეობათა) ძეგლების აღრიცხვა და წინა კამპანიაში გამოვლენილი ძეგლების შესწავლა. კერძოდ წარმოებდა არქეოლოგიური გათხრები „ნადარბაზვის“ სასახლისა, ნასოფლარის მდ. ჭიჭკავის ნაპირას და სოფელ ვარხუნის ნაქარგორაზე. 1949-1950 წლებში ექსპედიციამ შეისწავლა მანგლისის ირგვლივ მდებარე ძეგლები (ალგეთის, ლაკვის, ზრბითის, საყავრის, მთავისის ხეობები — კლდეკარამდე).

სამი წლის მუშაობის შედეგად ექსპედიციამ მოიარა 170 ნასოფლარი და სოფელი, აღრიცხა 296 ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი, რომელთა უმრავლესობა უცნობი იყო. ლიტერატურაში ცნობილი ძეგლები ექსპედიციის მიერ იყო ყოველმხრივ დაზუსტებული. გამოვლენილ ძეგლთა შორის არის 14 ციხე-სიმაგრე, 4 კოშკი, 9 სასახლის კომპლექსი, 8 სამონასტრო კომპლექსი, 170 ნასოფლარი და სოფელი, 193 ეკლესია, 13 ქვაჯვარა, 5 სტელა 2 მენპირი, 19 სამაროვანი, 5 ენეოლითური სადგომი, 20 ყორღანი, 3 დარბაზული ტიპის საცხოვრებელი სახლი და ერთი აბანო. ამასთანავე ექსპედიციამ აღმოაჩინა და დააზუსტა ძეგლებზე დაცული რამოდენიმე ათეული წარწერა, რომელთა შორის ზოგიერთი ნეტად მნიშვნელოვანია ისტორიული თვალსაზრისით. ექსპედიციამ დაადგინა და დააზუსტა სხვადასხვა მნიშვნელობის ძველი გზები და ისტორიული ბრძოლის ადგილები.

კვემო-ქართლის ექსპედიციას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი. ექსპედიციამ სხვადასხვა პროფილის მეცნიერ მუშაკთა მონაწილეობა ხელს უწყობდა ძეგლების ყოველმხრივ შესწავლას. ასე, გ. ლომთაიძემ ხელმძღვანელობდა ძეგლთა არქეოლოგიურ გათხრებს, ლ. ბოჭორიშვილი აწარმოებდა მხარის ენთოგრაფიულ შესწავლას, ი. გველიშვილი გეოლოგიურ შესწავლას, პ. ზაქარაია და ი. ციციშვილი აწარმოებდნენ ძეგლების აზომვასა და შესწავლას, ფოტოგრაფმა ი. პახომოვმა გადაიღო 2487 ფოტოსურათი. ამასთანავე ექსპედიციის მუშაობის პერიოდში ტოპოგრაფიულად აგეგმილი იყო რაიონში მიკველული 5 ძველი ნასოფლარი. აღნიშნულ პირთა გარდა ექსპედიციის სხვადასხვა კამპანიაში მონაწილეობდნენ: ო. ჯაფარიძე, გ. ცქიტიშვილი, მხატვარი ნ. ბრალიაშვილი, ტოპოგრაფი ნ. ლამბაშიძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტები.

ექსპედიციის მუშაობის დროს გამოვლენილი მასალა ჩემს მიერ იყო სისტემატიზებული და რუკაზე დატანილი.

კვემო-ქართლის წინამდებარე მასალების მიზანი იყო ვახუშტი ბატონიშვილის





საქართველოს გეოგრაფიის ცნობების დაზუსტება, ძველი სოფლები და დადგენა. ამიტომ მასალა დალაგებულია ვახუშტის პრინციპზე — ხეობების მიხედვით, რაც ისტორიულადაც გამართლებულად გვეჩვენება. სოფლებისა და ძეგლების სახელწოდებათა დაზუსტებისათვის ვსარგებლობდით ადგილობრივ მოსახლეობაში შექონებული ცნობებით და აგრეთვე ვახუშტისა და თანამედროვე რუკების მონაცემების შედარებით.

ბუნებრივია, რომ ყველა ძეგლი ვერ იქნებოდა სრულად შესწავლილი, ამიტომ მათი დათარიღებისას ყოველთვის არა გვაქვს პრეტენზია სიზუსტეზე. მიუხედავად ამისა ვიმედოვნებ, რომ ასეთი სახითაც ქვემო-ქართლის მასალები გარკვეულ დახმარებას გაუწევს მკვლევართ.

აქ ქვეყნდება ექსპედიციის მიერ გამოვლენილი და შესწავლილი ძეგლების ერთი ნაწილის სოკლე დახასიათება.

ქციის ხეობა

1. ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი. მდებარეობს სოფ. კარაკენდ-ქოსალარის აღმოსავლეთით მისგან 4 კილომეტრის დაშორებით. საცხოვრებელი შენობები და გალავნით შემოზღუდული, ცალნავიანი უსახო ეკლესია განლაგებულია მდ. ხრამის მარცხენა ნაპირას, დამრეც ფერდობზე. ეკლესია და ნასოფლარი გვიანფეოდალურ ხანას ეკუთვნის. სავარაუდოა აქ სოფელი — ნახიდური.

1.

2. ხ ი დ ი ს ნ ა შ თ ე ბ ი. მდ. ხრამზე, სოფ. ქოსალარის აღმოსავლეთით 3 კმ. დაშორებით. მდინარის შევიწროებულ ადგილას შემორჩენილია ხიდის ყორული წყობით ამოყვანილი ბურჯები.

2.

3. ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი მდებარეობს სოფ. ქოსალარის აღმოსავლეთით 3 კმ. მანძილზე საცხოვრებელი შენობები სხვადასხვა დროისაა, მაგრამ ძირითადად გვიანფეოდალური ხანისა. ნასოფლარი განფენილია მთის დამრეც ფერდობზე და მდინარე ხრამის მარცხენა ნაპირას. სავარაუდოა აქ სოფელი: თავმრგვალა.

3.

4. ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი. მდებარეობს სოფ. ქოსალარის აღმოსავლეთით 2,5 კმ. მანძილზე. სოფელში მოზრდილი ცალნავიანი ეკლესია და მას გვერდით მცირე საძვალე როგორც ეკლესია, ასევე ნასახლარები შედარებით ადრინდელია თუმცა სოფელი გვიანფეოდალურ ხანაში არსებობდა, სავარაუდოა აქ სოფელი ქცია.

4.

5. ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი. მდებარეობს სოფ. ქოსალარის აღმოსავლეთით 2 კმ. დაშორებით. სოფელი გვიანფეოდალური ხანისაა. ადგილობრივ უწოდებენ მოედანს. სავარაუდოა ძველი სოფელი ანდრაა.

5.

6. ე კ ლ ე ს ი ა. სოფელ ქოსალარის აღმოსავლეთით 2 კმ. დაშორებით, მოედანის ჩრდილოეთით. ეკლესია სრულიად დანგრეულია და XVI—XVII სს ეკუთვნის.

6.

7. ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი. აწინდელი სოფელი კარაკენდ-ქოსალარი. სოფელში იყო გვიანფეოდალური ხანის ცალნავიანი ეკლესია. ამჟამად ნანგრევებია. სავარაუდოა სოფელი კორა.

7.

8. ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი. სოფ. ქოსალარის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კმ. დაშორებით. შენობები გვიანფეოდალური ხანისა. სავარაუდოა სოფელი თხეინთბა

8.

9. ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი. სოფ. წინწყაროს სამხრეთით 2 კილომეტრის დაშორებით ე. წ. არნაუთის ფერმის ტერიტორიაზე. აქ მცირე ნასოფლარი და მოზრდილი ვკლესიაა. ვკლესია ატარებს მორად მშენებლობის აშკარა ნიშნებს. მის ვედლებში შემონახული მცირეოდენი რელიეფები და ჩუქურთმიანი ფრაგმენტები XII—XIII საუკუნეს კუთვნის, ასევე ლიტატურით შესრულებული სამშენებლო წარწერაც. ვკლესიის ირგვლივ საკმაოდ მოზრდილი ძველი სასაფლაოა. ეს არის ძველი სოფელი წ რ ა უ თ ი.

10. ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი. სოფ. დაღეთ-ხაჩინის სამხრეთ-აღმოსავლეთით 5 კმ. დაშორებით, მდ. ხრამის მარცხენა მალაღ ნაპირას. მოზრდილ-ნასოფლარში შემონახულია XVII საუკუნის ოთხკუთხა ფორმის ოთხსართულიანი კოშკი, ამავე დროს ორი ცალნავიანი ვკლესია და ბაზალტის მრავალი ქვა-ჯვარა. სოფლის სასაფლაოს ეპიტაფიებში მოთხრობილია 1731 წელს შავი ჭირისაგან მოსახლეობის ამოწყვეტის ამბავი. ამჟამად ადგილობრივ ნასოფლარს ღლაურს უწოდებენ. საგარაუდოა აქ ძველი სოფელი მუკუთი.

11. ნ ა ს ა ს ა ხ ლ ე ვ ი. სოფ. დაღეთ-ხაჩინის სამხრეთ-აღმოსავლეთით 5 კმ. მანძილზე, მუკუთის ჩრდილოეთით მალაღ ბორცვის პლატოზე. დიდ გალავანში მოთავსებულია ორსართულიანი, თლილი ქვით ნაგები სასახლე და მრავალი დამხმარე ნაგებობა. სასახლე IX—X სს. კუთვნის და ალბათ დამოუკიდებელ ერთეულს და ფეოდალის სამყოფელს წარმოადგენდა.

12. ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი. სოფ. დაღეთ-ხაჩინის სამხრეთ-აღმოსავლეთით 4 კმ. დაშორებით. მსხვილი ლოდებით ნაგები გალავნით გამაგრებული სოფელი. მოზრდილი, სრულიად დანგრეული ვკლესია და შენობათა კომპლექსში გამოყოფილი წარჩინებული პირის პალატი. შესაძლოა X—XI სს. ამ ნასოფლარს ადგილობრივ სოფლიანს უწოდებენ. საგარაუდოა ძველი სოფელი თ ა ფ ა ნ ი. სოფლის ირგვლივ გავეულერებული ხეხილი და ვაზი ხარობს. ჩანს ბაღებისათვის ხელოვნურად შექმნილი ტერასები.

13. გ ა მ ო ქ ე ა ბ უ ლ ე ბ ი. თაფანის სამხრეთით მდ. ხრამის ნაპირას კლდეებში არის რამდენიმე გამოქვაბული, ერთ-ერთი მათგანი ამოშენებულია ქვითკირის კედლით.

ჭივჭავას ხეობა

1. ს ა მ შ ე ი ლ დ ე. ქალაქი და ციხე. მდებარეობს თეთრი წყაროს სამხრეთ აღმოსავლეთით 4 კმ. დაშორებით, ხრამისა და ჭივჭავას შესართავთან შექმნილ მალაღსა და გრძელ კონცხზე. ქალაქი სამი ნაწილისაგან შედგებოდა და გალავნით იყო შემოზღუდული. მის ტერიტორიაზე შეიმჩნევა ძველი ქუჩების კვალი და საცხოვრებელი შენობების ნაშთებიც. ამათგან 4 ორსართულიანი სახლი შედარებით კარგადაა შემონახული, შესაძლოა განვითარებული შუა საუკუნეების დროიდან. ქალაქის დასავლეთის ნაწილში დგას პატარა, ცალნავიანი 1672 წელს აგებული ვკლესია. მთავარი ქუჩის მარჯვნივ შემონახულია კიდევ სამი ცალნავიანი, დარბაზული ვკლესიის ნანგრევი. ერთი მათგანი წმ. გიორგის, შედარებით ადრინდელი, ორი კი გვიანდელი დაღური ხანისა. ვკლესიის გალავანთან დარჩენილია ცხენის სახის სამი საფლავის ქვა. აქვე ხრამის მხარეს ძვეს ძველი ზეთსახდელის დიდი ზომის ბორბლები, ოდნავ



მოსორებით კი ერთმანეთზე დაწყობილი დიდი ზომის ლოდები ე. წ. მკვდრად ქალაქის აღმოსავლეთის ნაწილი გამოყოფილია ციხის მაღალი გალავნით. მისი ქვედა ფენები უძველესია, შემდეგ მოდის IX—X საუკუნეთა ფენა. ძირითადი ზღუდე XIV—XVI საუკუნეებშია აგებული, რაც შეეხება ციხის მრგვალ ბურჯებს ისინი 1747 წელსაა აგებული. შიდაციხის ტერიტორიაზე დარჩენილია XVII საუკუნის დროინდელი სასახლისა და აბანოს ნანგრევები. ციხის აღმოსავლეთით მდებარეობს მცირე ზომის სამნავიანი ბაზილიკა აგებული X—XI საუკუნეთა მიჯნაზე. მის აღმოსავლეთით დგას სამშვილდის დიდებული სიონის ნანგრევი. სიონი აგებულია VIII საუკუნის დასასრულს. უკანასკნელი ეკლესია დგას სიონის აღმოსავლეთით. იგი შედარებით კარგადაა დაცული და შემორჩენილი აქვს კედლის მხატვრობის კვალიც. საფიქრებელია, რომ იგი აგებულია XVII საუკუნის დასაწყისში. ციხის ფერდობზე, ხრამის ნაპირას დგას კიდევ ერთი უსახო ცალნავიანი ეკლესია. კონცხის ბოლოს შემორჩენილია ორი დიდი ზომის მრგვალი წყალსაცავი, რომლებიც XVIII საუკუნეში აუგიათ თუ აღუდგენიათ. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით 500 მეტრის დაშორებით მდ. ხრამზე ჩანს ორი ხიდის ნაშთი. პირველი ხიდის ორი ბურჯია შემორჩენილი, ხოლო მეორე, როგორც ჩანს ორმაღიანი, სამბურჯიანი ყოფილა.

14.

2. მონასტერი. მდებარეობს სამშვილდის სამხრეთ-დასავლეთით 2 კმ. დაშორებით, მდ. ხრამის ნაპირას 40-დე მეტრის სიმაღლეზე. მონასტერი მცირეა, მის გალავნის შიგნით ყოფილა ორი ეკლესია და საცხოვრებელი შენობები. ეკლესიები გვიანფეოდალური ხანისა და სომხური წარწერები ახლავს. შენობათა კედლებში ნახვარია პირღებულის მონასტრის ჩუქურთმიანი ფრაგმენტები.

15.

3. ნასოფლარი. სამშვილდის ჩრდილო-დასავლეთით ორიოდუ კილომეტრის მანძილზე. შენობები თითქმის არ შეიმჩნევა. გვიანფეოდალური ხანის ცალნავიანი ეკლესია ასევე დანგრეულია. ეკლესიის ირგვლივ გვიანფეოდალური დროის სასაფლაოა. სავარაუდოა აქ სოფელი კრწანისი.

16.

4. ეკლესია. სოფელ სამშვილდის დასავლეთით 1,5 კმ. მანძილზე, ძველი ეკლესიის ნანგრევი და მის გვერდით გვიანფეოდალურ ხანაში შეკეთებული წმ. გიორგის ეკლესია.

17.

5. ნასოფლარი. სოფ. სამშვილდის ჩრდილოეთით, 500 მეტრის დაშორებით, მდ. ჭივჭავას მარცხენა ნაპირას. შემორჩენილია მცირე ზომის დარბაზული შევრილ-ფიდიანი ეკლესია გვიანფეოდალური ხანისა, მის ირგვლივ სასაფლაოა. აქვე შეიმჩნევა რამოდენიმე საცხოვრებლის კვალი.

18.

6. დაღეთი. აწინდელი სოფელი დაღეთ-ხაინი. სოფლის სამხრეთ უბანში ცალნავიანი ეკლესიის ნანგრევი. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაო მრავალი ქვაჯვრათი. აქვეა ნასახლარების კვალი. ზედაპირული მასალა XI—XIII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მოტიქული და წითელი კერამიკა.

19.

7. ნასოფლარი. სოფ დაღეთის ჩრდილოეთით 1,5 კმ. დაშორებით, დიდი ნასოფლარი და მის შუაგულში ეკლესიის ნანგრევი. ეკლესიას სამივე მხრით მიწაშენ-



ბი ქქონია. იგი შესანიშნავად ყოფილა მოპირკეთებული და მორთული მეტად ბუნებრივად გინალური რელიეფებით. როგორც წარწერიდან ირკვევა ეკლესია აგებული ყოფილა ბასიანის 1204 წლის გამარჯვების აღსანიშნავად. ადგილობრივ ნასოფლარს ეწოდება ორთაშუა.

20.

8. ეკლესია სოფ. დაღეთის დასავლეთით 1 კმ. დაშორებით. ეკლესია მცირე ზომისაა, დარბაზული ტიპისა. ჩანს მისი გადაკეთების კვალი. ყურადღებას იქცევს ეკლესიის ბალაქრის ქვა ორიგინალური რელიეფებით და IX—X საუკუნის წარწერით. ამავე დროს, ეკლესიის საბურავის კრამიტი და მეორე წარწერა თამარ მეფის სახელით XII—XIII საუკუნეთა მიჯნას ეკუთვნის.

21.

9. უკან-დაღეთი. სოფ. დაღეთის დასავლეთით, ორი კმ. დაშორებით. პატარა ნასოფლარი და მოზრდილი, თლილი ქვით ნაგები ეკლესია. როგორც წარწერიდან ირკვევა ეკლესია XI ს. იყო აგებული, მაგრამ ეტყობა შემდეგდროინდელი შეკეთების ნიშნებიც.

22.

10. ნასოფლარი. უკან — დაღეთის ჩრდილოეთით 300 მეტრის მანძილზე ძლიერი დანგრეული შენობები და საკარმიდამო ნაკეთებები.

23.

11. სამაროვანი. უკან—დაღეთის სამხრეთით 200 მეტრის მანძილზე მთის ფერდობზე ჩანს ქრისტიანობის ხანის ქვაყუთები.

24.

12. ნასოფლარი. თეთრი-წყაროს სამხრეთით 3 კმ. მანძილზე, მდ. ჭიკვაძის მარცხენა ნაპირას დიდი ნასოფლარი და მის ცენტრში ფეოდალის სასახლის კომპლექსი, სასახლე 7 ოთახს შეიცავს. მას ახლავს დამხმარე ნაგებობანი და ცალნავიანი ეკლესია. ყველა ნაგებობა გვიანფეოდალური ხანისა უნდა იყოს. საყურადღებოა არქეოლოგიური მასალა — შავად მოპრიალებული და წითელი კვრამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები. სავარაუდოა აქ სოფელი გარისი.

25.

13. თეთრი-წყარო. დაბის აღმოსავლეთის ნაწილში დგას XIX ს. მეორე ნახევარში აგებული რუსული ეკლესია. მის გვერდით კი ძველი ეკლესიის ნანგრევი. ამ უკანასკნელის ჩუქურთმიანი ფრაგმენტები და რელიეფები გამოყენებულია ახალი ეკლესიის წყობაში. ძველი ეკლესია X ს. უნდა მიეკუთვნოს. ეკლესიის ირგვლივ მდებარე საფლავის ქვებზე ორიგინალური გამოსახულებანია. მესამე ეკლესია, სრულიად დანგრეული, მდებარეობს დაბის ცენტრში და 1701 წ. ყოფილა აგებული. დაბას ძველად ორთაშუა ეწოდებოდა.

26.

14. ნასოფლარი. თეთრი-წყაროს აღმოსავლეთით სოფ. მიხაილოვკას ტერიტორიაზე ძველი სახლების კვალი და პატარა ზომის უსახო ეკლესია. სავარაუდოა აქ ძველი სოფელი მძორეთი.

27.

15. აბელია. აწინდელი სოფ. აბელიანი. ნასახლართა ნაშთები კარგად შემონახევა. სოფლის აღმოსავლეთით, მაღლობზე დგას შესანიშნავად დაცული, თლილი ქვით ნაგები მშვენიერი ეკლესია. ორიგინალურია მისი მორთულობის ელემენტები. როგორც წარწერიდან ირკვევა ეკლესია აგებულია XIII საუკუნის 50-იან წლებში.



16. ქ ს ვ რ ე თ ი. თეთრი წყაროს ჩრდილოეთით 2 კმ. დაშორებით. სოფელში ძველი ეკლესიის ნანგრევები და მის ირგვლივ სასაფლაოა. რამდენიმე ქვაჯვარას კვარცხლბეკები ჩატანებულია ეკლესიის კედლებში. ერთი ჯვარი დგას მის გალავანში.

29.

17. ვ ა რ ხ უ ნ თ. თეთრი წყაროს დასავლეთით 2 კილომეტრის მანძილზე ნასოფლარი ჩანს აწინდელი სოფლის ტერიტორიაზე. სოფლის ჩრდილოეთით მაღალ ბორცვზე დგას შემდგომში სომხურად გადაკეთებული ეკლესია. საკუთრივ ბორცვი წარმოადგენს ე. წ. „ნაცარ გორას“, რომლის მცირე გათხრამ გამოავლინა მრავალი ორიგინალური, ძვ. წ. 1 ათასწლეულის ნივთი.

30.

18. მ ე ნ კ ი რ ი. თეთრი წყაროს დასავლეთით 1,5 კილომეტრის მანძილზე წალკაზე მიმავალ გზის მარჯვნივ დგას მენპირი. მისი ზომებია: სიმაღლე 2,5 მ, დიამეტრი 0,6—1,0 მ.

31.

19. ყ ო რ დ ა ნ ი. თეთრი წყაროს დასავლეთით 1,5 კმ დაშორებით, ქვით ნაყარი ყორღანი, რომლის სიმაღლე 3 მ და დიამეტრი 30 მეტრი. ყორღანი ძლიერ დაზიანებულია და ქვებიც გატანილი.

32.

20. ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი. თეთრი წყაროს სამხრეთ-დასავლეთით 2 კმ. მანძილზე მდ. ტიფტავას ნაპირას შენობები განლაგებულია ტერასულად და შეჭრილია ფერდობში. კედლების წყობა როგორც საკმაოდ ძველი, ისე ფეოდალური ხანისაა, რაც სოფლის ხანგრძლივი ცხოვრების მაჩვენებელია. სოფლის ცენტრალურ ადგილას დგას მცირე ეკლესია შემოზღუდული გალავნით. გალავნის ირგვლივ სასაფლაოა.

33.

21. ყ ო რ დ ა ნ ი. თეთრი წყაროს დასავლეთით 4 კმ. მანძილზე, ხშირ ტყეში. იგი აგებულია ანდეზიტო-ბაზალტის მსხვილი ლოდებისაგან. სიმაღლე 3,5 მ, დიამეტრი 45 მეტრი.

34.

22. ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი. სოფ. ვარზუნოს დასავლეთით 2 კილომეტრის მანძილზე მდ. ტიფტავას მარჯვენა ნაპირას. მცირე ზომის ნასოფლარში შეიმჩნევა ქუჩები და კალოები. შენობები საკმაოდ ძველია ე. წ. ციკლოპური წყობისა.

35.

23. ე ე ს ო. ნასოფლარი მდებარეობს ს. ვარზუნოს ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ. მანძილზე. შენობები განლაგებულია ფერდობზე. ცენტრალურ ნაწილში ეკლესიის ნანგრევია. ეკლესია, როგორც ჩანს თავის დროზე შესანიშნავ ნაგებობას წარმოადგენდა. მისი კედლები თლილი ქვითაა და უხვად ყოფილა მოჩუქურთმებული. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით იგი XI—XII სს. აგებული.

36.

24. ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი. ეცოს დასავლეთით 1 კმ მანძილზე, მდ. ტიფტავას მარჯვენა ნაპირას. შემონახულია მრავალი საცხოვრებელი შენობა აგებული რიყის ქვით კირის დულაზე. სოფლის აღმოსავლეთით დგას პატარა ეკლესია, გვიანფეოდალური ხანისა.

37.

25. ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი. ეცოს ჩრდილოეთით, 1 კმ. მანძილზე, მაღალ ბორცვზე





მცირე ნასოფლარი და მის ცენტრში ეკლესიის ნანგრევი. ეკლესია მოყვითალო ტყეშია მოწყობილი. თლილი კვადრებითაა ნაგები, საფიქრებელია XII—XIII საუკუნეებში. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა, ცხენისა და ცხვრის რამდენიმე ქანდაკებით.

38.

26. ეკლესია. თეთრი წყარო-ივანოვკას გზაზე, პირველიდან 6 კილომეტრის დაშორებით. პატარა ეკლესიის ნანგრევი, გადახურული მოჭიქული კრამიტით.

39.

27. ნასოფლარი. თეთრი წყარო-ივანოვკას გზაზე, ნადარბაზევის სამხრეთით 1,5 კილომეტრზე. ნასოფლარი ვრცელია, ჩანს მრავალი საცხოვრებელი შენობის ნაშთი და გალავანში მოქცეული, გამოყოფილი შენობა. როგორც ჩანს ეს უკანასკნელი, ადგილობრივი ფეოდალის სასახლეს წარმოადგენდა. სასახლის მახლობლად დგას კარგად დაცული ცალნავიანი ეკლესია. საფიქრებელია, რომ კომპლექსის მშენებლობა XIV საუკუნეზე გვიანდელ ხანას ვერ მიეკუთვნება.

საგარეულოა აქ ძველი სოფელი ტყემლარი.

40.

28. ყორღანი. ტყემლარას აღმოსავლეთით, 2 კმ. მანძილზე ე. წ. უნაგირა გორაზე, ტყის კორდზე მდებარეობს სამი მცირე ზომის ყორღანი (დიამეტრი 6 მეტრი, სიმაღლე 0,7 მ).

41.

29. ნასოფლარი. ტყემლარას ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნასოფლარის მახლობლად. მდ. ჭივჭავას ნაპირას ნასოფლარის ნაშთები და მცირე სასაფლაო.

42.

30. გამოქვაბული. ტყემლარის აღმოსავლეთით, ნასოფლარის მახლობლად. მდ. ჭივჭავას ნაპირას გამოკვეთილი მცირე გამოქვაბული მისი სიმაღლე 2 მ. სიგრძე 6 მ, სიგანე 2,5 მ.

43.

31. ნასოფლარი. ნადარბაზევის სამხრეთ-დასავლეთით 1 კილომეტრზე ე. წ. უნაგირა გორაკზე. ტყეში დიდი ნასოფლარი, თითქოს გამაგრებული გალავნით. ჩანს საქონლის შემოფარგლული სადგომები.

44.

32. ნადარბაზევი. თეთრი წყაროს ჩრდილო-დასავლეთით 8 კილომეტრის მანძილზე. დიდი გალავნით შემოზღუდული ნასახლევი. სასახლის ტერიტორიაზე იმყოფება: დიდი სასახლე-დარბაზი, საცხოვრებელი შენობა და დამხმარე საცხოვრებელი სახლები. შენობათა არქიტექტურა IX—X საუკუნეებზე მიეკითხება. ეს არის შემდგომში თითქოს თამარ მეფის ნასახლევი — ზაფხულის სასახლე. სასახლის ირგვლივ განფენილია ნასოფლარი, რომელიც თავის დროზე მას ალბათ მომსახურეობას უწევდა.

45.

33. ყორღანი. ნადარბაზევის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,5 კილომეტრის მანძილზე. გზის პირას პატარა ყორღანი. მისი სიმაღლე 70 სმ. დიამეტრი 10 მეტრი.

46.

34. ნასოფლარი. ნადარბაზევის ჩრდილო-დასავლეთით 2 კილომეტრის მანძილზე. ხშირ მუხნარში დიდი ნასოფლარია. შენობათა კედლები საკმაოდ ძველია, ასევე მონუმენტური იერი აქვს დანგრეულ ეკლესიას. როგორც ჩანს სოფელი ნადარბაზევის პერიოდისა (X—XI სს.) ყოფილა.

47.



ლონგინოზ სუმბაძე

**სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზონა ხალხური ხუროთმოძღვრებისა და უფვის მუზეუმი**

საცხოვერებელ-სამეურნეო ნაგებობათა ტოპოლოგია და განაშენიანების პროექტი

ბუნებრივ-სამეურნეო პირობების მიხედვით სამხრეთ ოსეთი ორ ძირითად ზონად იყოფა: ცხინვალ-ჯავისა (დასავლეთისა) და ლენინგორის (აღმოსავლეთის) ზონად.

აღმოსავლეთის ზონა ძირითადად მოიცავს მდ. ქსნის აუზში მდებარე დასახლებულ პუნქტებს. ნაწილი სოფლებისა მდებარეობს აგრეთვე მდ. მუჯუდასა და ლეხურის ხეობებში.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთი ნაწილი წარმოადგენს შიდა ქართლის ველს და ძველთაგანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს ცენტრალურ რაიონებთან.

ჩრდილოეთის მხარის უმეტესი ნაწილი მოკუთვნება საქართველოს მთიან რაიონებს. საზღვარი სადამდეც ვაჭი ხარობს, (რასაც ვახუშტი ბაგრატიონი მთისა და ბარის საზღვრად მიიჩნევს) გადის სოფ. კორინთასა და ლარგვის შორის (აღმოსავლეთის მხარეს) და ქურთასა და მსხლებს შორის (დასავლეთისაკენ).

სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა მხოლოდ 7% ცხოვრობს ზღვის დონიდან 800 მეტრზე ნაკლებ სიმაღლეზე, მაშინ როდესაც მთიანი ზოლი 800 მ-დან 1000 მ.



ნიმალეუმდე დასახლებულია მცხოვრებთა 49%, ხოლო 1000 მ-დან 1600 მ სიმაღლეზე — 38,3%.

კლიმატი სამხრეთ ოსეთის ოლქისა მიეკუთვნება აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატურ მხარეს: ზომიერად ტენიან სუბტროპიკულ ჰავას, რაც საშუალებას იძლეოდა მიწურ — ბანიანი სახურავის გამოყენებისა, მაგრამ ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელიც ლიხის ქედის გადაღმა მდებარეობს, განეკუთვნება უკვე სხვა კლიმატურ მხარეს: ზღვის ტენიან სუბტროპიკულ მხარეს, რაც გამოირიცხავს მიწურ-ბანიანი სახურავის გამოყენებას.

მოსახლეობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა მრავალეროვნაა, რომელშიც უმეტესობას ოსები შეადგენენ. მცხოვრებთა საერთო რიცხვიდან (101.700 სულა 1967 წ. მონაცემების მიხედვით) ოსები შეადგენენ 66%, ქართველები 27,5%, რუსები, ებრაელები, სომხები და სხვ. 6,5%.

როგორც ლიხის, ისე ქსნის ხეობა ძველთაგანვე წარმოადგენდა ოსების ჩამოსახლების ადგილებს. XIII-XIV სს. დაწყებული ოსები მკვიდრდებიან კავკასიის ქედის სამხრეთ კალთებზე და თანდათანობით ინაცვლებენ სამხრეთისაკენ. უფრო ძველად მათ ვკავათ ჩრდილო კავკასიის მთისწინა ბარი, რომელიც მიატოვენ თურქ-მონღოლთა შემოსევების შედეგად. მასობრივი ჩამოყალიბება კომპაქტური ოსური დასახლებებისა საქართველოს რაიონებში განეკუთვნება XVIII ს. ბოლოს.

ძირითად საკმისიანობას სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისა ოლქის ჩრდილო რაიონებში — შესაქონლეობა წარმოადგენს (ქსნის ხეობაში უპირატესად მეცხვარეობა); მიწათმოქმედება, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის დანარჩენ რაიონებში, თამაშობს შესაქონლეობისადმი დაქვემდებარებულ როლს.


ოლქის სამხრეთ რაიონებში უპირატესად მიწათმოქმედება იყო განვითარებული.

სამხრეთ ოსეთის ხალხური ხელოვნებად მდიდრებოდა ალანურ-კავკასიური და ძველქართული ტრადიციების ურთიერთმოქმედების პროცესში. მოსულ ოსურ მოსახლეობას, რომელსაც სახლთმშენებლობის საკუთარი ჩვევები გააჩნდა, ადგილზე დახვდა ქართული ხელოვნების მრავალფეროვანი ტრადიციები, რომლებიც ყალიბდებოდა ამ რეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით, მისი კლიმატის, რელიეფის, ადგილობრივი სამშენებლო მასალების შესაფერისად.

ოსური და ქართული მოსახლეობის საცხოვრებლის ფორმათა მსგავსება (და ზოგჯერ იდენტურობა) განსაკუთრებით აღსანიშნავია მხარის აღმოსავლეთ რეგიონში — ქსნის ხეობაში. ძველქართული საცხოვრებლის ძირითადი ფორმის — დარბაზის შესწავლამ ქსნის ხეობაში დაგვარწმუნა, რომ ოსური მოსახლეობის დარბაზები თითქმის არ გამოირჩევა ქართული მოსახლეობის მსგავსი საცხოვრებლიდან. „იმი-ისი გარდა, რომ ზოგჯერ ვერც დაადგენს კაცი სახლის პატრონის ან მშენებელი — ოსტატის ერთგვარებას მოსახლეობის შერევის გამო — როგორც ოსური, ისე ქართული მოსახლეობის ნაგებობებში გვხვდება კომპლექსურიც და ერთდარბაზიანი საცხოვრებელიც, როგორც ერთ, ორბოძიანი, ისე სამ, ოთხბოძიანი სტუქტურებიც. ყველა ეს ტიპები საცხოვრებლისა, რომლებიც ძირითადი ნიშნებით, ერთ ტიპს მიეკუთვნებიან უფრო მეტად გამოირჩევიან შესხეთისა და ზოგჯერ ქართლის ცენტრალური რაიონების სახლებიდან, ვიდრე მათი სახესხვაობანი ერთმანეთს შორის“ (ლ. სუმბაძე).

იგივე არ შეიძლება ითქვას სამხრეთ ოსეთის დასავლეთი რეგიონის ჩრდილო ნაწილის საცხოვრებლის შესახებ. ამ რაიონების ძველად მისაგნებ ადგილებში ჯერ






„ერდოიანი სახლი“ სოფ. სოხოადან.  
(ქავეს რ-ნი).

«Эрдоджен хадзар» из с. Сохта.  
(Джавский р-н).

ღარბაზი სოფ. ბალაანში (ლენინგორის  
რ-ნი). ავტორის გრაფიკა 1945 წ.

Дарбазы в с. Балаани. (Ленингор-  
ский р-н). Гравюра автора 1945 г.





კიდევ გადარჩა ერთიანი სახლის („ერთოჯინ ხაძარს“) სანტურებს ქვეყნის მლექიე წარმოადგენენ ოსური და ქართული მხატვრული ტრადიციების ნაერთს ძველქართული დარბაზის საფუძველზე: სამხრეთ-ოსეთის ხალხური საცხოვრებელი ყველაზე უფრო სრულად შესწავლილი აქვს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ლ. ჩიბიროვს.

სამხრეთ ოსეთის მთიანი რაიონის საცხოვრებლის შესახებ ბევრი მასალა აგრეთვე, მ. ჯანდიერის, გ. ლეკავას, და ამ სტრიქონების ავტორის შრომებში.

ერთ-ერთი პირველი აღწერილობა სამხრეთ-ოსეთის მთიანი ზოლის საცხოვრებლისა შესრულებული იყო ე. პნელინას მიერ ჯერ კიდევ 1930 წ. ზოგი მასალა ქსნის ხეობის საცხოვრებლის შესახებ მოიპოვება ს. მაკალათიას, გემეჭკორის, ა. რობაქიძის ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში.

ამას გარდა, ჩვენს ხელთ არის აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ძველი საცხოვრებლის სამი ანაზომი: ხის დარბაზებისა სოფ. ღარისთავსა და თიღვაში (ცხინვალის სამხრეთ დასავლეთით), შესრულებული ლ. რჩელიშვილის მიერ და ერთი დარბაზოვანისა ს. ლომისადაც (ახალგორის რ-ნი), აზომილი დ. შორბედაძის მიერ.

ყველა ეს მასალა საშუალებას იძლევა საკმაოდ სრულად წარმოვიდგინოთ სამხრეთ-ოსეთის საცხოვრებლის რეგოლუციამდელი ტიპები.

სამხრეთ ოსეთის საცხოვრებლის ტიპოლოგიის საფუძველად აღებულია ქართული საცხოვრებლის ტიპოლოგიისათვის მიღებული პრინციპები, რომელთა მიხედვითაც საქართველოს თითოეული რეგიონის რეგოლუციამდელი საცხოვრებლის განვითარებაში განხილულია სამი ძირითადი სტადია: ძველი, გარდამავალი და ახალი.

ძველი საცხოვრებლის ტიპებს სამხრეთ-ოსეთში წარმოადგენენ შემდეგი სახის ობიექტები:

დარბაზი — როგორც ცალკე მდგომი, ისე კომპლექსური (დარბაზოვანი). ერთიანი სახლი ხის საბოლეთი („ერთოჯინ ხაძარ“) საფუძვროვანი (ტერასული) სახლები მთური ტიპისა და ქვიტკირის სამხარეთულიანი ციხე-სახლები, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მაღალმთიან რაიონშია გავრცელებული.

I ა — ტიპი ძველი საცხოვრებლისა წარმოადგენს ცალკე მდგომ 3-4 ბოძიან ქართლური სახის დარბაზს. იგი ქართლ-კახურა დარბაზის აღნაგობისაა, სან ან ოთხბოძიანი ინტერიერით (ორ თავზეზე), კვადრატული ფორმის პარალელური წყობის — გვირგვინით (ქსნის ხეობაში), რომელიც სამხრეთ რაიონებში რვაკუთხოვანი ხდება. იშვიათად გვხვდება ორმალიანი (ერთი თავებით) დარბაზებიც, ზოგჯერ კი — მრავალმალიანიც, რომელთა შორის აღსანიშნავია ერთობის სახლი, სოფ. ბალაანიდან (ქსნის ხეობა) ექვსმალიანი სიღრმით, მაგრამ ერთი გვირგვინით, დიდი ფართობით (110 კვ. მ.), ქვის კედლებით. I ა ტიპი დარბაზისა გვხვდება მთლიანი ხისაც ჯარგვალური კედლებით.

აღსანიშნავია ამ ტიპის სახლთა შორის ორიგინალური ფორმების სამბოძიანი დარბაზი სოფ. ღარისთავიდან ხის კედლებითა და პარალელური წყობის რვაკუთხოვანი გვირგვინით. დედაბოძზე ამოკვეთილი წარწერის მიხედვით იგი აგებულია 1902 წელს.

I ბ ტიპი დარბაზოვანი, კომპლექსური საცხოვრებელი ორ-სამ საფუძვროვანი მოცულობით, ბოსლით დერეფნის ქვეშ ან გვერდზე.

კალო ამ სახლს ან დერეფნის წინა აქვს გამართული ან ბოსლის ბანჯე.

აღსანიშნავია ამ დარბაზებში კალოს მოწყობა გადახურვაში ჩაშვებული შუა ბოსტნის  
საფუძველზე, როგორც ეს მეზობელ მთიულეთ-გუდამაყარში კეთდებოდა.

II ტიპი — ერთდარბაზიანი „ერდოჯინ ხაძარია“ ერთი  
დედაბოძით, რომლის ინტერიერის მხატვრულ გადაწყვეტაშიც ორიგინალურადაა გადა-  
მუშავებული დარბაზის მინაგანი სივრცის გააზრების პრინციპები.

„ერდოჯინ ხაძარია“ სამხრეთ-ოსეთში ორა განსხვავებული სტრუქტურისა.  
გვხვდება: ქვის 1-2 სართულიანი შენობები ბანაიანი გადახურვით და ხისა ორფერდა  
სახურავით. „ერდო“ სამხრეთ-ოსეთში წარმოადგენს ფიცრისაგან შეკრულ, წაკვეთი-  
ლი პირამიდის ფორმის საბოლეს. იგი გვხვდება 8 ან 6 კუთხოვანი ფორმისა, უფრო  
მცირე-ბანაიან სახლებში და მოზრდილი — ორფერდა სახურავის ქვეშ.

პირველ შემთხვევაში ერდო განათების წყაროსაც წარმოადგენს. გარედან მას  
გვერდებზე სიკბებს აფარებენ და თიხით მოლესავენ. მეორე შემთხვევაში — საბოლეს  
პირამიდა სხვენის სივრცეში ადის და უმეტესად არ სცილდება ბურვილს. ზოგჯერ  
იგი კეთდებოდა მოსახსნელიც (სახურავის ქვეშ).

ბუნებრივია, რომ ჯავის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ლიხის ქედის  
დასავლეთით გავრცელება იპოვა ხაძარმა ორფერდა სახურავით. ტიპური სახლები  
აქ ორმალბანი სიღრმისა განივი თავხით და ერთი დედაბოძით შუაში, ან წველი-  
ბოძით. ხაძარში, როგორც წესი, კერა თავსდება შესახველიდან უკანა მალში, აქვე  
მალის მალა ეწყობა ერდოც. ბოძის წინაპირად (ფასადად). ბუნებრივია აქ ით-  
ვლება კერისაკენ (და არა კარისაკენ) მოქცეული მხარე. სწორედ იგი მუშავდება  
ჩუქურთმით. ამგვარად, დარბაზისაგან განსხვავებით, სადაც სახლში შემოსულს თვა-  
ლში ხვდება ერდოდან განათებული დედაბოძის მოჩუქურთმებული ზედაპირი, აქ  
დედაბოძისა და თავის სამკაული იკითხება მხოლოდ შიდა სივრცის უკანა ნახევრი-  
დან. ორიგინალური სახისაა აქ დედაბოძიც: ის თაჯოსდა ორი ნაწილისაგან შედ-  
გება: ქვედა, კვადრატული კვეთის ძირისა და ზედა, ზემოთ გაგანიერებული ფიცრი-  
საგან, რომელიც ჩუქურთმით იმკობა.


სხვენში ამაგალი რვაწახნაგოვანი „ერდოს“ გამოყენება დაფიქსირებულია აგ-  
რეთვე ლიხის ქედის გადაღმა (დასავლეთით) მდებარე რაიონებში. ზემო იმერეთში  
ჩვენს დრომდე შემორჩენილი იყო რამდენიმე ობიექტი, რომელთა ნაწილიც ჩამო-  
ტანილია და აგებული მუზეუმის ტერიტორიაზე.

დასავლეთ საქართველოს „ერდოიანი“ სახლების, სამხრეთ-ოსეთის მსგავსი სა-  
ხლებისაგან განსხვავებით, ინტერიერში არ გააჩნიათ შუა საყრდენი (დედაბოძი) და  
მათი ერდოები ყოველთვის სახურავის (ბურვილის) მალა ადის და ამგვარად სინა-  
თლის წყაროსაც წარმოადგენს. სამხრეთ-ოსეთის „ერდოების“ დიდი უმეტესობა  
სხვენის მოცულობაშია მოქცეული.

III. ტიპი ძველი საცხოვრებლისა წარმოადგენს კომპლექსურ „ერდოიან“  
სახლს, („ერდოჯინ ხაძარია“) ორფერდა სახურავით საბოლეს „ერდოთი“ სხვენში და  
ბოსლით საცხოვრებლის ქვეშ.

IV ტიპი — ციხე-სახლია („გაენახ“) იგი უმეტესად სამხართულიანია,  
ბანაიანი სახურავით; აგებულია ფლეთილი ან რიყის ქვისაგან მშრალი წყობით.  
ვახუშტი შაგრატიონი აღნიშნავს ოსური ციხეების მშენებელთა დიდ ოსტატობას,  
რომელთა უკიროდ ნაშენი კედლებიც ირყვიან, მაგრამ არ ინგრევიან.

ციხე-სახლების I სართული, ისევე როგორც მთიანეთის სხვა რაიონებში, წარ-



დარბაზი ქსნის ხეობიდან. დედაბოძა  
ავტორის ანაზონი.

Дарбазы из Ксанского ущелья.  
Опорный столб дедабодзи. По об-  
меру автора.

მოადგენდა ბოსელს, II — საცხოვრებელსა და III კი გამოყენებული იყო თავდაცვის მიზნით, თუმცა ხშირად მასში ცხოვრობდნენ კიდეც. სახლის გვემა კვადრატს წარმოადგენდა, ხშირ შემთხვევაში  $10 \times 10$  მ. მეტი. ოსური ციხე-სახლი არაფრით არ განსხვავდება შოიულეთისა და ხევის მსგავსი სახლებისაგან, რომელთა ნიმუშიც ბევრია შემორჩენილი თრუსოს ხეობაში, ძველთაგანვე ოსებით დასახლებულ ადგილებში.

სახლის ეს ტიპი ზოგჯერ შენდებოდა ერთ კოკლექტში საბარალო ციხესთან სამეურნეო მიწაშენებით და გარშემორტყმული იყო მაღალი „გალუანიით“. (გალაენიო). მსგავსი კომპლექსებია გამოყოფა საცხოვრებლის ცალკე ტიპად ჩვენ არ მიგვაჩნია მიწანშეწონილად, რადგან თვით საცხოვრებლის („გაენახის“) აღნაგობა იგივე რჩება.

სახლის გარდამავალმა ტიპმა სამხრეთ — ოსეთის ტერიტორიაზე ვერ მიიღო აშკარად ჩამოყალიბებული სახე, როგორც ეს ქართლისა და გარე — კახეთის ტერიტორიაზე გვაქვს ე. წ. ბანიანი სახლის სახით. გარდამავალი ტიპი აქ წარმოადგენს ძველებურ სახლს, რომელიც გადაკეთება — მიშენების საშუალებით მორგებულია ოჯახის ახალ მოთხოვნილებებთან. ხუროთმოძღვრულმა ფორმებმა აქ ჯერ ვერ მიიღეს გამომეტყველი სახე.



ღარბაზები სოფ. ბორაში (ლენინგორის რ-ნი). ავტორის ნახატი 1945 წ.

Дарбазы в с. Боро. (Ленингорский р-н). Рис. автора 1945 г.

სამარტლე სოფ. ბალაანიდან (ლენინგორის რ-ნი).

Солыница из с. Балаани. (Ленингорский р-н).





ახალი ტიპი საცხოვრებლისა, ისევე, როგორც საქართველოს რაიონებში იღებს უნიფიცირებულ ფორმებს, იგი წარმოადგენს ორსართულიან სახლს, რომლის არქიტექტურულ სახეშიც წამყვანი ხდება ფართო აივანი დაჩარხული რიკულებით ან დაფანჯრული ფიცრული მოაჯირებით.

ობიექტ-ექსპონატების შერჩევისას უკვე მოხსენებული წყაროების გარდა გამოყენებულია ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის თანამშრომელთა ორი ექსპედიციის განმავლობაში შეგროვილი მასალები, რომლებიც ჩატარდა 1974 წ. მეცნ. კანდ. ლ. ჩიბირთვის კონსულტაციითა და მონაწილეობით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზონას მუზეუმის დასავლეთ მხარეში უკავია ორი პატარა კვარტალი. ზედა მათგანში წარმოდგენილია ობიექტები ჯავის რაიონიდან უმთავრესად მის ჩრდილო-დასავლეთ, ლიხის ქედის გადაღმა ნაწილიდან.

IV—1 კარმიდამოზე წარმოდგენილია ჯარჯულური ერთობიანი „ერდო-ჯინ ხაძარი“ ორქანობიანი ყავრის ბურვილით, ჯავის რაიონის სოფ. სოხთადან. „ერდო“ ამ სახლს თუმცა არ აქონდა შერჩენილი, მაგრამ მისი არსებობის კვალი, ფორმების დადგენის საშუალებას იძლეოდა. ობიექტი გადმოტანილია და აგებული მუზეუმის ტერიტორიაზე.

ობიექტი — 2 ამ კარმიდამოზე იმავე რაიონიდან გადმოტანილი ჯარჯულური ბოსელია („სკატი“) საბძლით სახურავის მოცულობაში. იგი აგებულია ადგილობრივი ხელოსნის მიერ.

ამ კარმიდამოში ექსპონირებული უნდა იყოს მთური ურეში (აჩაჩა) და მარხილი, თივის ზეინები.

IV — 2 კარმიდამოში განზრახულია აიგოს ქვის ერდოიანი სახლი ბოსლით სოფ. ერმანიდან (ჯავის რ-ნი) — ლ. ჩიბირთვის მიხედვით.

IV — 3 კარმიდამოში, კვარტლის ზემო ნაწილში უნდა აშენდეს ციხე-სახლი („გაუნახი“) მრავალსართულიანი საბრძოლო კოშკით ჯავის რაიონის სოფ. ხოძიდან. ეს ობიექტი განაშენიანების პროექტში ნაჩვენებია ლ. ჩიბირთვის მიხედვით. წარმოდგენილია იგი მხოლოდ ფოტოგრაფიით. იგი მეორე რიგის მშენებლობას მიეკუთვნება და შეიძლება შეიცვალოს მსგავსი ტიპის უკეთესი კომპლექსით.

ამავე მიწის ნაკვეთზე, გზის მოსასვევთან განზრახულია აშენდეს ობიექტი 2. იგი წარმოადგენს ორსართულიან აკლდამას, ორფერდა სიბედიანი გადახურვით სოფ. ჩელიათადან (ჯავის რაიონი) ჩიბირთვის მიხედვით. ეს ხუროთმოძღვრული ფორმა კავკასიის მთიანეთის ხალხთა ერთობლივი შემოქმედების საინტერესო მაგალითს წარმოადგენს.

ზონის ქვედა კვარტალში დასახული ოთხი კარმიდამოს აშენება.

IV — 4 კარმიდამო განკუთვნილია „ერდოიანი“ სახლისათვის ქვეშე ქვით-კირის ბოსლით. ობიექტი, რომელიც განაშენიანების პროექტშია ნაჩვენები დარჩენილია ჯავის რაიონის სოფ. სარიტათაში. ეკუთვნის იგი ზაურ ბაგაევს. მასაც „ერდო“ არა აქვს შერჩენილი, მაგრამ მისი საფუძვლის ფორმა და ზომები ადვილად დგინდება. თავზე და დედაბოძი შემკულია ჩუქურთმებით. მუზეუმს განზრახული აქვს ამ ობიექტის შექენა და გადმოტანა.

IV — 5 კარმიდამოში წარმოდგენილია ხის სამბოძიანი დარბაზი. ზნაურის რ-ნის ს. ლარისთავიდან, ლ. რჩელიშვილის ანაზომის მიხედვით. იგი ქართლური დარბაზის მეტად საინტერესო სახესხვაობაა. ჩვენთვის არაა ცნობილი, არის თუ არა იგი დღევანდლამდე შემორჩენილი.



IV — 6 კარმიდამოში ნაჩვენებია დარბაზოვანი ხ. პავლიანთკარის (ქსნის ხეობა) საინტერესო აღნაგობის დარბაზით, რომელსაც გვერდზე ბოსელი აქვს მიშენებული, მის ბანზე მოწყობილი კალოთი და კალოს სახლით. დარბაზის ინტერიერი — სამშობიან სქემაზეა აგებული, დედაბოძი შემკულია ირმის რქებით, პარალელური წყობის გვირგვინი კვადრატული ფორმისაა. იგი აზომილია ჩვენს მიერ 1945 წელს და არა ერთხელ გამოქვეყნებული. თუ ნატურაში აღარ აღმოჩნდა, შესაძლებელია იგი აშენდეს ანაზომების მიხედვით. დარბაზოვანის ამგვარი (მთური) სტრუქტურა (კალოთი) მხოლოდ ქსნის ხეობაში გვხვდებოდა.

IV — 7 კარმიდამოში გათვალისწინებულია „ახალი“ ტიპის ორსართულიანი აიენიან-ფანჯრიან-სხევიანი სახლის აგება, სასურველია ცხინვალის რაიონიდან. კონკრეტული ობიექტი ამ კარმიდამოსათვის ჯერ არაა შერჩეული.

სამხრეთ ოსეთის ა. ო. ზონის ზედა მარცხენა კიდეში IV — 1 კარმიდამოს აღმოსავლეთით დარჩენილ კუთხეში, ხევის პირას, განზრახულია საღუდე აგება უზარმაზარი სპილენძის ქვაბით. მომავალში ამ ნაგებობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს განთქმული ოსური ლუდის ხარშვის ტექნოლოგიური პროცესი, პროდუქციის დეგუსტაციით.

სამხრეთ ოსეთის ზონის ტერიტორიის მთელი ფართობი ნეტო შეადგენს 0,6 კექტარს.

#### ლიტერატურა

1. М. Джандиери, Г. Лежава «Архитектура горной Грузии». М., 1946.
2. Б. Калоев, «Осетины». М., 1976.
3. ს. მაკალათია, «ქსნის ხეობა» — თბ., 1972.
4. Е. Пчелина, «Дом и усадьба нагорной волость Юго-Осетин» — Ученые записки РАНИОН, т. II, М., 1930.
5. А. Робакидзе, Г. Гегечкори, «Формы жилища и структура поселения Горной Осетин».
6. Л. Сумбадзе, «Дарбази Ксанского ущелья», «Архитектура республик Закавказья». М., 1951.
7. Л. Чибиров, «Осетинское народное жилище», Цхинв., 1970.
8. გ. ჩიტაია, ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, «ენიმე»-ის მოამბე ტ. IV — 3, თბ., 1939.

### შველას, კათილმოწყობას მიიტირებს

ვარძიდან ორიოდ კილომეტრის დაშორებით, ასპინძის მხარეს, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს მეთუ საუკუნის მეორე ნახევრის კლდეში გამოკვეთილი ნამონასტრალი — ვანის ქვაბები, ანუ ვაჰანის ქვაბები. ეს ძველი მეთად საინტერესოა თავისი ისტორიული წარსულით.

ვანის ქვაბები — მონასტერი მოქმედებაში შევიდა მაშინ, როცა საქართველოში დაიწყო ცალკეული საერისთავების ერთ სამეფოდ გაერთიანების ისტორიული პროცესი და იგი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ქვეყნის ცენტრალიზაციას.

გაერთიანების შემდეგ ვანის ქვაბებში სამეფო მონასტრად დარჩა XIII საუკუნის ათიან წლებამდე და ამ დროის განმავლობაში იგი ყოველმხრივ ეხმარებოდა საქართველოს მეფეების ძალაუფლების განმტკიცებას სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე. მას შემდეგ, რაც ვარძია მთლიანად შევიდა მოქმედებაში, 1207 წლისათვის თამარ მეფემ ვანის ქვაბების მონასტერი თმოგველ ერისთავს გადასცა და იგი საერისთავო მონასტრად იქცა.

ვანის ქვაბებს ჰქონდა მდიდარი სამონასტრო მეურნეობა. მის განკარგულებაში იყო სოფლები — ვარძია, კუნულეთი, ჭაჭკარი, ტოლოში, ვარნეთი, ერკოტა ნიანლის ყურის აგარა და სხვა. ვანის ქვაბების მონასტერი ხუთი მხრივ მარაგდებოდა სასმელი თუ სარწყავი წყლით. მათ შორის ოთხი თიხის მილების წყალსადენია და ერთი ადგილობრივი წყარო. ვანის ქვაბებში დღემდე მთლიანი თუ დანგრეული სახით მოვიდა ერთი გუმბათიანი ტაძარი, სამი ეკლესია მრავალი წარწერათ, დანგრეული სამრეკლო, თმოგველთა საძვალე, გურგენისძეთა საძვალე, სხვადასხვა დანიშნულების გამოქვაბულები და სხვ. ვანის ქვაბები თავისი მიუდგომლობის გამო წარსულში ხშირად ყოფილა გამოყენებული ციხე-სიმაგრედ.

ვარძიის მუზეუმშია საჭიროდ მიიჩნია 1976 წლის ტურისტულ სეზონში დაეწყო ვანის ქვაბების ისტორიის პოპულარიზაცია და საზოგადოებრივ საწყისებზე აქ გავატარეთ 17 ათასამდე ტურისტი და ექსკურსანტი. უნდა აღინიშნოს, რომ ვანის ქვაბებიდან ტურისტები წარუშლელი შთაბეჭდილებებით ბრუნდებოდნენ.

მაგრამ სამწუხაროა, რომ დღემდე ამ მნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლს არ აქვს კათილმოწყობილი მისასვლელი ბილიკი, დასაგველი და დასალაგებელია ნაგებობანი. ავარიულ მდგომარეობაშია გუმბათიანი ტაძარი, თამარ მეფის ეპოქის გალანის კედელი და სხვა.

ყველა ეს გამოწვეულია იმითაც, რომ 1965 წლიდან ვანის ქვაბებში ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის სპელეოსტიკის ლაბორატორია ყოველწლიურად გათხრებს აწარმოებს. გათხრებისას ბევრი საინტერესო ისტორიული მასალა აღმოჩნდა, მაგრამ გამომტკიცებული ისტორიული ძეგლების დაკონსერვება არ ხდება. რის გამოც ისინი ნგრევას განიცდიან, თუმცა გამოთხრელი ორგანიზაცია ღია ფურცლისათვის მიმართავს ასეთი სამუშაოების შესასრულებლად სახსრების გაღებას კისრულობს.



საჭიროა გაკეთდეს კაპიტალური წყალამრიდი და ნიაღვრის ამრიდი რკინა-ბეტონის არხი.

ვანის ქვაბები — ეს მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი მისი მოვლა-დაცვისა და შემდგომი პოპულარიზაციისათვის სათანადო ყურადღებასა და მზრუნველობას საჭიროებს.

ვანის ქვაბების ისტორიულ ძეგლში საკონსერვაციო სამუშაოების ხელმძღვანელობა საჭიროა დაევალოს ვარძიის დაცვის სახელმწიფო კომისიას, წინააღმდეგ შემთხვევაში ძეგლს კატასტროფა ემუქრება.





**უფლისციხის თამარის დარბაზის გადახურვისა და  
ზოგიერთი სხვა ნაწილების გამაგრების შესახებ**

აღნიშნული დარბაზი გამოკვეთილია კლდის მასივში ბრტყელი ჭერით. მისი ზომები გეგმაში 9x9, ხოლო ჭერისა და იატაკის ნიშნულებს შორის სხვაობა დაახლოებით 6 მეტრია. გადახურვის ფილის საშუალო სისქვა 2,5 მეტრი, დარბაზში შესასვლელი კარი მოწყობილი ყოფილა აღმოსავლეთის კედელში, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან კი დარბაზის კედლები ესაზღვრებიან გაცილებით მცირე ზომის სათავსებს.

დარბაზის ჭერზე გამოკვეთილია ხის კოჭური სისტემით გადახურვის იმიტაცია, სადაც ერთი მთავარ კოჭს ასახავს, ხოლო დანარჩენები დამხმარე კოჭებს. მთავარი კოჭი წარმოდგენილი ყოფილა როგორც ბოლოებით ჩამაგრებული სამხრეთ-სა და ჩრდილოეთის კედლებში და გარდა ამისა, დაყრდნობილი ამ კედლებს შორის მოწყობილ ორ სვეტზე. დამხმარე კოჭები კი, რომლებიც გაცილებით მცირე სიგანისანი არიან, ბოლოებით ჩამაგრებული ყოფილან აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში და, გარდა ამისა, ეყრდნობოდნენ მთავარ კოჭს.

ამჟამად დარბაზს აღარ გააჩნია არც აღმოსავლეთის კედელი და აღარც აღნიშნული ორი სვეტი. ძველის ამ მნიშვნელოვანმა დაზიანებამ, ცხადია, მკვეთრად გააუარესა თამარის დარბაზის ბრტყელი გადახურვის მუშაობის პირობები. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ დასმულიყო საკითხი ამ ძველის გამაგრების (გაძლიერების) შესახებ.

ჩვენი წინამდებარე წერილიც ამ საკითხს ეხება და მიზნად ისახავს ისეთი ოპტიმალური საშუალების შემუშავებას, რომელიც მთლიანად გაითვალისწინებდა ყველა იმ ცნობილ მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელ პირობადაა მიღებული უნიკალური ისტორიული ძეგლების რესტავრაციისა და გამაგრებისას. კერძოდ: ძველის ისტორიული სახის შენარჩუნება; მისთვის საკმაო სიმტკიცისა და ეროზიის წინააღმდეგ მდგრადობის უზრუნველყოფა; გამაგრების საშუალებათა სიმარტივე და სხვა.

განსახილველი ძველის ეროზიის საკითხი არ წარმოადგენს ჩვენი გამოკვლევის საგანს. მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სწორედ ამ მხრივაც კატასტროფულ მდგომარეობაში არა მარტო თვით თამარის დარბაზი, არამედ, მთელი უფლისციხე. ალბათ უახლოეს ხანში მიღებულ იქნება საბოლოო გადაწყვეტილება ამ უნიკალური ძეგლის ეროზიისაგან დაცვის შესახებ. მით უმეტეს, რომ თითქმის უკვე მონახულია ამიასთისის საიმედო საშუალებაც (მხედველობაში გვაქვს სპეციალური სამეცნიერო — სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს ლაბორატორიის გამგის თ. იაკაშვილის მიერ შემუშავებული საშუალება).

რაც შეეხება თამარის დარბაზის გადახურვის ფილის გამაგრებას, როგორც ეს ჭეხმით მოყვანილი მოსაზრებებიდან გამომდინარეობს, ჯერ კიდევ შეიძლება ყოველგვარი რისკის გარეშე გადადებული იქნეს იმ პერიოდამდე, სანამ არ შემუშავდება გამაგრების ოპტიმალური საშუალება ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნათა თვალსაზ-

რისით. გამაგრების არსებული ვარიანტები კი, როგორც აქ მოყვანილი მათი ანაღმებელი მითხვენებს.



გამაგრების ადრე მოცემული საშუალებებიდან, რომლებიც შემუშავებული იყო სხვა და სხვა ავტორის მიერ, დღეისათვის განიხილება მხოლოდ ორი ვარიანტი<sup>1</sup>. ერთი მათგანი გადახურვის ქვემოდან ლითონის დგარებისა და კოჭების მოწყობას ითვალისწინებს; მეორე კი ზემოდან რკინა-ბეტონის მძლავრი კოჭური სისტემის განხორციელებასა და მასზე გადახურვის ფილის მრავალი წერტილით შეკიდებას. ცხადია ორივე აღნიშნული ვარიანტი საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს ფილის გამაგრება სიმტკიცის ნებისმიერი მარაგის უზრუნველყოფით. მაგრამ, როგორც ცნობილია, ისტორიული მნიშვნელობის უნიკალური ძეგლების რესტავრაციისა და გამაგრებისას მთავარ მოთხოვნას მაინც ძველის პირვანდელი სახის მაქსიმალურად შენარჩუნება წარმოადგენს. განსახილველ ძეგლზე კი ცხადია, გამაგრების ის ვარიანტი შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად, რომელიც არ შეეკვლის არა მარტო დარბაზის ინტერიერს, როგორც ეს გ. კიხირიას ზემოთ მოხსენებულ წერილშია აღნიშნული, არამედ მთელი უფლისციხის ექსტერიერსაც.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ გამაგრების აღნიშნულ ორ ვარიანტს შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ არცერთი მათგანი არ აკმაყოფილებს მთლიანობაში ამ მოთხოვნებს — პირველის განხორციელება მნიშვნელოვნად დაუკარგავდა დარბაზის ინტერიერს პირვანდელ სახეს, მეორის განხორციელება კი თითქმის მთლიანად წაართმევდა ძველის ექსტერიერს იმ განსაკუთრებულ მხარეს, რომელიც მას გააჩნია და განუმეორებელია თავისი შთამბეჭდაობით. გარდა ამისა ამ უკანასკნელის განხორციელება მოითხოვს დარბაზის გადახურვის ფარგლებში კლდის დიდ მოცულობით ნგრევას, რაც დაუსველად მიგვაჩნია.

გამაგრების აღნიშნული ორი ვარიანტის საერთო ნაკლად კი ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ ისინი თითქმის მთლიანად უგოვლებელყოფენ დარბაზის გადახურვის ფილის საკუთარ მზიდუნარიანობას. ეს იმ დროს, როდესაც უკვე რამდენიმე საუკუნეა რაც გადახურვის ფილას აღარ მიუღია რაიმე დამატებითი მნიშვნელოვანი დაზიანება (ისტორიული წყაროებით დგინდება რომ ძველის ზემოაღნიშნული დაზიანება უნდა მომხდარიყო სამი — ოთხი საუკუნის წინათ). თუმცა კი სიზუტისათვის საჭიროა აღნიშნოს, რომ ამ ბოლო ხანებში (რამდენიმე ათეული წლის წინ) ფიქსირებულია ორი ვერტიკალური ბზარის გაჩენა გადახურვის ფილის აღმოსავლეთი გვერდის მალში.


მხოლოდ საკუთარი მზიდუნარიანობის მაქსიმალურად გათვალისწინების გზით მიგვაჩნია შესაძლებლად გადახურვის ფილის გამაგრების ისეთი ოპტიმალური ვარიანტის შემუშავება, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებდა ყველა აღნიშნულ მოთხოვნებს და გარდა ამისა, იწებოდა უფრო მისაღები სიმარტივის თვალსაზრისითაც. ფილის გამაგრების ჩვენს მიერ შემუშავებული ვარიანტი, რომლის არსი ქვემოთ არის მოცემული, სწორედ ამ გზით არის მიღწეული ის მიღებულია იმ გამოკვლევათა შედეგად, რომლებიც ჩავატარეთ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მიერ დასმული საკითხის შესაბამისად.

ძველი შევისწავლეთ ადგილზე ჯერ არქიტექტორ თ. ქარუმიძისთან ერთად. ხოლო შემდეგ, ზოგიერთი დეტალის დაზუსტების მიზნით, დამოუკიდებლად. თ. ქარუმიძის დახმარებით მივიღეთ აგრეთვე თითქმის ყველა საჭირო ცნობა ძველის სხვადასხვა სახის დაზიანებათა დაახლოებით დათარიღების შესახებ და უფლის-




Բն. I.

Պրեք I.



Բն. II.

Պրեք II.



Բն. III.

Պրեք III.

ციხის კლდის ნიმუშების ჩვენთვის საჭირო ფიზიკურ მახასიათებლებზე. კერძოდ: მოცულობითი წონა — 1,7 ტ/მ<sup>3</sup>; ზღვრული წინაღობა კუმშვაზე — 75 კგ/სმ<sup>2</sup> და ზღვრული წინაღობა გაჭიმვაზე ღუნვის დროს — 15 კგ/სმ<sup>2</sup>.

გადახურვის მზიდუნარიანობის დადგენისათვის საჭირო გახდა გაგვეცო მისი დაძაბულობის სურათი, რამაც გარდა ამისა, საშუალება მოგვცა გვეპასუხა შემდეგ ბუნებრივ კითხვაზეც: საჭირო კია თამარის დარბაზის გადახურვის გამაგრება, თუ კი ზემოთ აღნიშნულ ძირითად დაზიანებათა შემდეგ უკვე განვლო დაახლოებით ოთხმა საუკუნემ ისე, რომ ფილას თითქმის აღარ მიუღია დამატებით რაიმე სერიოზული დაზიანება? ჩატარებულ განგარიშებათა შედეგად დადგინდა იქნა რომ ფილაში საკუთარი წონით გამოწვეული გამჭიმავი და მკუმშავი ძაბვები არ უნდა აღემატებოდნენ 4 კგ/სმ<sup>2</sup>, ხოლო თუ დამატებით თოვლის წონასაც მივიღებთ მხედველობაში — 6კგ/სმ<sup>2</sup>. ძაბვის ეს სიდიდეები გაცილებით ნაკლებია უფლისციხის კლდის შემომოკვანილ ზღვრულ წინაღობაზე. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ფილის თავისუფალი გვერდის მალში ორი ბზარის გაჩენა დაკავშირებული უნდა იყოს რაღაც დამატებითი ფაქტორის შემოქმედებასთან. ასეთ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ გორის რაიონში 1920 წელს მომხდარი რვა ბალიანი მიწისძვრა. ამ მოსახრების სისწორეზე მეტყველებს ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოებიც, რადგან მათი მიხედვით აღნიშნული ბზარები XIX საუკუნის ბოლოსათვის არ ყოფილა ჯერ გაჩენილი.

განგარიშებით დადგინდა იქნა აგრეთვე, რომ მაქსიმალური სიდიდის გამჭიმავი ძაბვები წარმოიშობა არა იმ ადგილას, სადაც აღნიშნული ბზარებია გაჩენილი, არამედ ფილის ზედაპირზე სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების გასწვრივ. ამიტომ პირველი ბზარების გაჩენაც სწორედ ამ ადგილებში იყო მოსალოდნელი. ფილის დამატებითი გამოკვლევით დადგინდა ასეთი ბზარების არსებობაც.

ამრიგად დადგინდა იქნა, რომ თამარის დარბაზის გადახურვის ფილაში, მისი თავისუფალი გვერდის მხრიდან გაჩენილა ოთხი ვერტიკალური ბზარი, რომელთაგან ორი ფილის მალშია ქვემოდან, ხოლო ოთხი ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლების გასწვრივ ზემოდან. საჭიროა გაირკვეს: უქადიან თუ არა აღნიშნული ბზარები დარბაზის გადახურვას დაზარალებით?

ბზარების გავრცელება კვეთის სიღრმეში არ აღემატება 40-50 სმ-ს ამიტომ მათი გაჩენის შემდეგ მუშაობაში შედის ფილის ე.წ. მეორადი მზიდი კონსტრუქცია, რომლის თავისუფალი გვერდი მუშაობს უკვე როგორც „თალი (ნახ.1). ვინაიდან განმბჯენი ძალების მიღების თვალსაზრისით ამ „თალის“ ქუსლები საიმედოდ არის ჩამაგრებული, ხოლო „თალის“ სისქე საკმაო სიდიდისაა (დაახლოებით 1,5-2,0). მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ უფლისციხის თამარის დარბაზის გადახურვას, მიუხედავად ძველის აღნიშნული სერიოზული დაზიანებებისა, ჯერ კიდევ გააჩნია სიმტკიცის საკმაოდ დიდი მარაგი. მაგრამ ვინაიდან გორის რაიონში გამორიცხული არ არის დიდი სიძლიერის მიწისძვრის განმეორება, საჭიროა თამარის დარბაზის გადახურვის ფილა გამაგრებულ იქნეს აღნიშნულ დაზიანებათა შემდგომი განვითარების თავიდან აცილების მიზნით.

ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენის აზრით, საკმარისია გაძლიერდეს ფილის მხოლოდ აღმოსავლეთი გვერდი, რომელსაც საყრდენი კედელი აღარ გააჩნია. ფილის გაძლიერების ასეთი საშუალების შესაძლო ვარიანტი მოცემულია ნახ. 2-ზე, რომელიც ჩვენის აზრით თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს ყველა ზემოთ აღნიშნულ პ. „მეგლის მეგობარი“ № 50, 1979 წ.



მითხვნებებს: მთლიანად უნარჩუნებს ძველს ისტორიულ სახეს (მშენებლობითა და ტერიტორიულად) ეფექტურია გადახურვის გამაგრების (გაძლიერების) თვალსაზრისით და ხასიათდება განსაკუთრებული სიმარტივით. ამ ვარიანტის მთავარი არაა იმაში მდგომარეობა, რომ ღუნვაზე მომუშავე კლდის მასივში ვატარებთ ლითონის ღეროს ან ტროსს (ბაგირს) ისე, რომ ჩამაგრების შემდეგ მათ შეასრულონ არმატურის როლი. სხვანაირად რომ ვთქვათ, აღნიშნული არმატურის კლდის გადახურვაში ვატარებთ შემდეგ ეს უკანასკნელი იწყებს მუშაობას რკინა-ბეტონის ანალოგიურად.

გადახურვის ფილის გამაგრების მოცემულ საშუალებაში უმჯობესია ალბათ არმატურა გამოვიყენოთ ბაგირის (ტროსის) სახით. ასეთი არმირება საჭიროა განხორციელდეს ფილის მხოლოდ აღმოსავლეთი გვერდის გასწვრივ, ნაპირიდან დაახლოებით ერთი მეტრის მოცილებით, საკმარისია ალბათ ერთი ან ორი არმატურის გამოყენება.

თამარის დარბაზის გადახურვის ფილის აღნიშნული სახით არმირება მარტივია განსახორციელებლად. მაგალითად ერთი არმატურის ფილაში ვატარებთ სათავის საჭიროა განხორციელდეს დარბაზის გადახურვის გაბურღვა მხოლოდ ორჯერ, ხოლო მის ჩრდილოეთით და სამხრეთის მოსაზღვრე სათავების გადახურვებში კი თითოჯერ (ნახ.2). არმატურის ერთი ბოლი ჩამაგრდება (ჩაანკერდება) ერთ-ერთი აღნიშნულ სათავსო ჭერში, ხოლო მისი მეორე ბოლი გატარდება გაბურღვებით მიღებულ ხვრელებში. ხვრელებს შორის დარჩენილი არმატურის ნაწილები ჩაიმალებიან კლდის ზედაპირზე სპეციალურად ამოჭრილ ღარებში. შემდეგ, მეორე სათავსოს სახურავიდან გამოყვანილი არმატურის ბოლოთი განხორციელდება არმატურის გაჭიმვა რაღაც ძალით (აქ დიდი ძალა არ არის საჭირო) და ასეთ მდგომარეობაში ჩაანკერდება. აღნიშნული ყველა ღარი და ხვრელი შეივსება რაიმე დიდი სიმტკიცის ხსნარით, რომელიც მომზადებული იქნება ცემენტის, ეპოქსიდის ან სხვა სახის შემკრავზე. ხსნარის მომზადებისას უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივი ქვის ფჭვილი, რათა შევსების შემდეგ ღარებმა ძველის კლდის ფერი მიიღონ.

გადახურვის ფილის ამ ვარიანტის სიმარტივე საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ, თუ ეს საჭიროდ იქნა მიჩნეული, უფრო მეტი რაოდენობის არმატურის შეყვანაც მის მასივში. გარდა ამისა, ამ გზით შეიძლება გაძლიერებულ იქნეს უფლისციხის კლდის სხვა ნაწილებიც, რომლებიც ღუნვაზე მუშაობენ. ასეთებია, მაგალითად, მასივები, რომლებიც კონსოლის სახით არიან გადმოკიდებულიები.

უფლისციხეზე კონსოლის სახით მომუშავე კლდის მასივი წარმოიშვა ერთ-ერთი სათავსოს შესასვლელის თავზე მას შემდეგ, როცა მას ქვემოდან მოსცლია ორი სვეტი. ნახ. 3-ზე სქემატიურად ნაჩვენებია ამ კონსოლური მასივის მოცემული ხერხით არმირება, რაც უფრო ეფექტურად მიგვაჩინია ამჟამად გამოყენებული რკინა-ბეტონის ორი სვეტის მოწყობასთან შედარებით. ეს სვეტები, ჯერ ერთი, საგრძნობლად უკარგავს ძველის ექსტერიერს პირვანდელ სახეს, მეორე მხრივ კი, ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ კლდისაგან მოცილებულნი დროთა განმავლობაში კლდის ეროზიის გამო.

1 გ. კობია, უფლისციხის ორსვეტიანი დარბაზის გამაგრების შესახებ, კრ. ძველის მეგობარი 26 41, 1976 წ.



### დრანდა

სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებული კვლევის ზოგიერთი შედეგი და სამუშაოს პროექტი

დრანდის ხუროთმოძღვრული ძეგლის სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე ჩატარებულმა მეცნიერულ-კვლევითმა სამუშაოებმა, ძეგლის თავდაპირველი სახის გამდგარებისთანავე, მთელი რიგი მნიშვნელოვანი მასალა შეგვიძინა. უკანასკნელი არა მარტო ადგილობრივი მნიშვნელობისაა, არამედ უფრო ზოგადი ხასიათისაა და ემსახურება ადრეული პერიოდის ქრისტიანული სამყაროს ხელოვნების შესწავლის საქმეს.

აქ შევეცდებით შეგრძნოთ აღნიშნული კვლევის შედეგებზე და ასევე მოკლედ გაგაცნოთ დრანდის ხუროთმოძღვრულ ძეგლზე მიმდინარე სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების შინაარსი-პროექტი.

ტაძარი ძირითადად აგებულია აგურით, არის აგრეთვე კედლები, რომლებიც დაწყობილია აგურისა და რიყის ქვის რიგების მონაცვლეობით. ასეა მაგ: სამხრეთის მკლავის აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლების წყობა ინტერიერში, რომელიც ქვის საძირკველზე არის ამოყვანილი. ჯერ აგურის 9 რიგია შემდეგ რიყის ქვისა. ასე აგურისა და ქვის მონაცვლეობით კედლის წყობა მკლავის გადამხურავ კამარის ქუსლამდე არის ამართული. კამარა მთლიანად აგურით არის გადავლებული. ამავე მკლავის სამხრეთის კედელი ზემოაღწერილი წყობის იდენტურია, პირველსა და მეორე კედელს შორის მოთავსებული კუთხის პილასტრი კი მთლიანად აგურისაა.

წყობისათვის გამოყენებული კირის ხსნარი, მსხვილმარცვლოვან გარეცხილ ქვიშისა და აგურის ფხენილია არეული. კედლის ზედაპირი მოწითალო ფერის ხსნართაა (წერილად დაფქვილი აგურის და კირის ხსნარზე) დაფარული, რომელიც დაკაწრულია (სგრაფიტო) ზოგან ცალი, ზოგან შეწყვეილებული ხაზებით, თითქოს თლილ კვადრებად (18x25 სმ) დაწყობილი კედლის გამოსახულებაა. კედლის ასეთი დამუშავების ფრაგმენტები შემორჩენილია დანარჩენ მკლავებში საკურთხეველის ჩათვლით. მხოლოდ ბემაში, ჩრდილოეთის კედელზე შერჩენილ ანალოგიურ ნაღესობაზე დაკაწრის კვალი არ ჩანს. ნათქვამი გვაფიქრებინებს რომ კვლევის ინტერიერში კედლები, კამარის ქუსლებამდე, დაფარული ყოფილა ნაღესობით, რომელზედაც ამოკაწრული იყო წყობის ამსახველი კვადრები, კამარებზე კი აგურის წყობა მოუპირკეთებლად იყო დატოვებული. სამხრეთის სათავსის ჩრდილოეთის კედელზე ნიშნისა და კარების წირობლებზე აგურის წყობის რუგებს შორის, თხელი და პრაიალა ზედაპირიანი მკვრივი ბათქაშით შექმნილია კედლის სწორი და ბრტყელი ზედაპირი. ასეთივე ბათქაშისა კედელია კვლევის ჩრდილოეთის სათავსში. აღსანიშნავი ფაქტია, რომ ამ სათავსიდან ბემაში გასასვლელი კარის თალი აგურის ორი რიგითაა დაწყობილი, რომლის ბათქაშზე ამოკაწრით ხაზგასმულია თალის სტრუქტურა.

მოგვიანებით ტაძრის ინტერიერი შელესეს და მოხატეს. ამას გვაფიქრებინებს კვალი, რომელიც შერჩენილია სამხრეთის და ჩრდილოეთის მკლავების აღმოსავლეთ კუთხეში და შესაბამის კარების წირობლებზე. ასეთ კვალს მივაგენით საკურთხევე-



დრანდა. დასავლეთის ფასადი.

Дранда. Западный фасад.

დრანდა დასავლეთის ფასადი გახსნის  
შემდეგ.

Дранда. Западный фасад после от-  
крытия.






დრანდა. დასავლეთის ფასადი.

Дранда. Западный фасад.

დრანდა. ჩრდილოეთის ფასადის ნაწილი.

Дранда. Часть северного фасада.





ლოში ჩრდილოეთის თახჩასთან და მის გვერდით მდებარე სარკმელთან მონაკვეთის  
ბის ყველა აღნიშნული ფრაგმენტის შესრულების მანერა და ხათი იატაკიდან 1.  
— 1,5 მ მდებარეობა გეაფიქრებინებს, რომ ეს პანელია, რომლის ზევით სცენები იყო  
მოთავსებული. ნალესობის სტრუქტურას და საღებავის (მოწითალო აგურის ფერი)  
დატანის მანერა გეაფიქრებინებს, რომ მხატვრობა შუა საუკუნეებში (XIII—XIV)  
იყო შესრულებული.

ტაძრის კედლები გარედანაც შემოაღწერილი ხერხით იყო ამოყვანილი. ეს  
კარგად ჩანს სამხრეთის, ჩრდილოეთის და ნაწილობრივ დასავლეთის — ნარტექსის  
— ფასადებზე. უკანასკნელის სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან, ისევე როგორც სამ-  
ხრეთის მკლავში, თანმიმდევრობითაა დაწყობილი ისეთივე ზომის აგურისა და რი-  
ყის ქვის ფენები.

აღმოსავლეთის ფასადის ზედაპირი XIX საუკუნეში ხელმეორედ მოაპირკე-  
თეს, რისთვისაც გამოიყენეს იმ დროის რუსული სტანდარტის აგური. აღნიშნულ  
ფასადზე თავდაპირველი სახით დარჩენილია შეკეთების დროს მიწით დაფარული,  
ხოლო ჩვენს მიერ, შურფებით გახსნილი ქვის ცოკოლი და მასზედ დაწყობილი აგუ-  
რის 6-7 რიგით ამოყვანილი კედელი. შეკეთებას გადაურჩა აგრეთვე აფხიდებს შო-  
რის მოთავსებული ნიშებიც.

გუმბათი მთლიანად აგურით არის ამოყვანილი. გარედან ისე ყოფილა და-  
ზიანებული, რომ აღმოსავლეთის ფასადთან ერთად აგურით ისიც მოაპირკეთეს.  
აგურით მოპირკეთების ფაქტი ადვილი შესამჩნევია თითქმის გუმბათის ყველა ფარ-  
თე სარკმლის წირთხლების დათვალეერების დროს.

ნაგებობა თავდაპირველად დაბურული იყო ბრტყელი დიდი ზომის აგურის  
(პლინფების) რამდენიმე ფენით. ეს საბურავი შემონახულია ძველის სახურავის  
ყველა ქანოზზე. მოგვიანებით, აღნიშნული სახურავის ზევით აკცილ კიდეებიანი  
კრამიტი დაუწყვიათ. ვფიქრობთ, რომ ეს ის დრო (XIII—XIV სს.) იყო, როდესაც  
ძველი მოხატეს. როგორც ჩანს, მაშინ დრანდის ტაძარი კაპიტალურად შეუკე-  
თებიათ და აღუდგენიათ. სტილისტურად ამავე დროს უნდა მივაკუთვნოთ კირქვაში  
გამოკვეთილი ლილვებით გრებილითა და ბირთვებით გაფორმებული ფრაგმენტები,  
ჩვენ მათ გუმბათზე გვიანი დროის (XX ს. დასაწყისი) ნალესობის მოხსნის დროს  
მივაკვლიეთ. ეს ფრაგმენტები ვფიქრობთ, გუმბათის სარკმლების ღიობებში შეწყ-  
ვილებული სარკმლებიდან არის დარჩენილი. შეწყვილებული სარკმლები კი გუმ-  
ბათში საფიქრებელია შუა საუკუნეებში, ტაძარზე აღნიშნული დიდი მასშტაბის  
სარემონტო სამუშაოების დროს გაღართეს. ასე ყოფილა იგი XIX საუკუნემდე.

დრანდის ტაძრის აგების ხერხი ზოგადად ასე შეიძლება დაეხასიათოთ: გუმ-  
ბათი და მისი მზიდავი კედლები, ისე როგორც მთელი კონსტრუქციული ადგილები,  
აგურით (3X 2X 33; 3X 25X 32; 2,5X 14X 32) 2,5X 14X 33; 3X 27X 31) არის  
ამოყვანილი, პერიფერიული და ზოგი სხვა კედლები კი აგურისა და რიყის ქვის  
რიგების მონაცვლეობით არის დაწყობილი.

შენობის გვერდის კომპოზიცია და მასათა აგებას სტრუქტურა მრავალ მკვლევართა  
ყურადღებას იპყრობდა და იპყრობს. უფრო ადრინდელ მკვლევარებს ძველის შეს-  
წავლისათვის ხელსაყრელი პირობები დახვდათ; როგორც ჩანს, მეფის რუსეთის  
ეკლესიას სარემონტო სამუშაოები იმ დროისათვის ალბათ არ ჰქონდა ჩატარებული.  
ნათქვამის სასარგებლოდ ლაპარაკობს არქ. — ნორვეის მიერ 1847 წ. შესრულებუ-

ლი ანაზომები. ნახაზზე გარკვევით ჩანს, რომ იმ დროს ეკლესიის დასავლეთ-აღმოსავლეთის მკლავი და დასავლეთის სათავსი-ნარტექსი ერთმანეთთან კარით იყო დაკავშირებული. ეკლესიას სამივე მხრიდან ქონდა შესასვლელი. მათგან სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარებს წინ კარიბჭე ქონდა მიშენებული. როგორც ქვევით დავინახავთ გვემის ეს აღნაგობა თავდაპირველია. ამავე დროს არქ. ნორვეის ანაზომს შევდგომავ ახლავს, ასე მაგ; სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის სათავსები ნარტექსს მეტად ვიწრო ზეგლით (ხომ არ არის აქ კარის მაგივრად აღნიშნული სარკმელი) უკავშირდება. სინამდვილეში აქ 1,25 მ. სიგანის კარები დღემდე არსებობს.

აღმოსავლეთის გვერდითა სათავსებს თითო კარი აქვს. ეკლესიის შესატყვის მკლავში გასასვლელად. არ არის ნაჩვენები კარი ამ სათავსებიდან ბემში გასასვლელად. კარების ადგილას გვეგმაზე ნიშნები ნაჩვენებია.

უფრო მოგვიანებით მ. პავლინოვი აქვეყნებს დრანდის გვემას. ძველი მას უკვე საფუძვლიანად გადაკეთებულ-შეკეთებულ დახვდა. ამ დროისათვის დასავლეთის მკლავის დასავლეთის კედელი დანგრეული იყო, სამხრეთისა და ჩრდილოეთის შესასვლელები კი მოშლილი.



მ. პავლინოვი ძველზე მსჯელობის დროს იშველიებს ტოლსტოისა და კონდაკოვის მიერ გამოქვეყნებულ არქ. ნორვეის გვემას და გვთავაზობს გვემის მისებურ ვარიანტს. სახელდობრ, ავტორის აზრით თითქოს დასავლეთის სათავსი მოგვიანებით არის მიშენებული, მაშინ როდესაც დაანგრეულ დასავლეთის მკლავის დასავლეთი კედელი. მ. პავლინოვის ამ, როგორც ქვევით დავინახავთ, მცდარ აზრს, ზოგიერთი ავტორი დღესაც იზიარებს. ზემოაღნიშნული და ეს, რომ მიმდინარეობს ძველის სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები კიდევ უფრო ამახვილებს ჩვენს ყურადღებას, რათა დაგვედგინა ძველის თავდაპირველი გვემა.

დრანდის ტაძარს კიდევ განუცდია საფუძვლიანი გადაკეთება. ამ დროს გუმბათს დადგეს ზის კონსტრუქციის რუსული ძეგლებისათვის დამახასიათებელი „სახვის თავი“, გააფართოვეს სარკმლები, დასავლეთით გამართეს ზის პატრონიკენი (მეორე სართული) და სხვ. ძველს შიგნით და გარეთ ნაღესობით გამოყვანილმა დეკორმა შეუცვალა თავდაპირველი ზუროთმოძღვრული სახე. ასე იყო ეს სანამ გადაწყდებოდა ძველთა დაცვის სამმართველოს მიერ მასზე სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება. სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე მოხდა ძველის გაწმენდა და გამოკვლევა — შესწავლა. ამ კვლევით შედეგებზე დაყრდნობით შედგენილია სარესტავრაციო სამუშაოების პროექტი, სახელდობრ: დადგენილია სახურავის თავდაპირველი დონე, მათი ქანობების მიმართულება და საბურავის მოწყობის ხასიათი. ყველა ეს სამუშაოებს გვაძლევს საკმარისი სიზუსტით წარმოდგენით ძველის გარეგანი თავდაპირველი ფორმები. გამოკვლეულია, აგრეთვე რომ დასავლეთის კედელი ნარტექსის მიშენებულ ზუროთმოძღვრის თავდაპირველი; ჩანაფიქრის შედეგს წარმოადგენს. შიგნით და გარეთ ნაღესობის მოხსნის შემდეგ ნათლად გამოჩნდა, რომ ნარტექსის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების წყობა გადაბმულია ძირითად ორგანიზმთან. კედლის წყობის ხასიათი ერთნაირია. დადგენილია, რომ შეცვლილია ზოგიერთი სარკმლის ზომა, ამოშენებული და გაჭრილია ახალი სარკმლები და კარები. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ფასადებზე, კანსაკუთრებით გუმბათის ელზე და აღმოსავლეთის ფასადზე, როგორც ვთქვით XIX ს. ჩატარებული რემონტის დროს ამოყვანილია 1/2



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა


# გურჯისტანის უღრმეს-ბრძანებლის კრეატივი




1897



1897





დრანდა. ალკასბია-გამაგრების პროექტი.

Дранда. Проект восстановления.


აგურის სიკქის მოსაპირკეთებელი წყობა. ვფიქრობთ ამავე დროს ჩამოთვლილ მონუმენტურ ძეგლებში მოგვიანებით (XIII—XIV სს.) ჩადგმული შეწყველებული სარკმლების ქვის ალათები.

როგორც აღვნიშნეთ ზოგ ადგილას კარგად გამოჩნდა კედლების დამუშავების ხერხი. პროექტი ითვალისწინებს შიგნით კედლების ზედაპირის გაწმენდას, ნალესობიდან დარჩენილ ფრამენტების საგანგებოდ დაცვას და მათ საჩვენებლად მომზადებას. სხვა სურათია ფასადებზე, აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია კედლების შელესვა საგანგებოდ მომზადებულ ღია ფერის ხსნარით. ზოგი დამახასიათებელი ადგილები დატოვებული იქნება ზონდაჭების სახით, ასე მაგალითად, სამხრეთის ფასადზე მკლავის ზედა ნაწილში ჩანს გადამხურავი კამარის წყობა. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სამხრეთის კედელი არა კონსტრუქციული, არამედ კონსტრუქციის შემავსებელი სივრცის ზღვარის შესაქმნელია. შენობის ასეთი ხერხი გამოყენებული იყო გარკვეული მხატვრული მოთხოვნებით, რაც საჭიროდ მიგვაჩნია გასხნითი ზონდაჭით ვაჩვენოთ. აღნიშნული დაგეგმარება ძეგლის შემდგომი კვლევის დროს (პროექტზე ასეთი ადგილები აღნაშნულია პუნქტირით).

პროექტი ითვალისწინებს ტაძრის დასავლეთის მკლავის თავდაპირველი კედლის აღდგენას და ამ ადგილას ნარტიქის დამხურავ კამარის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარებისა და სარკმლების აღდგენას. სარკმლებში საჭიროა გაიმართოს შემინული ალათები. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სარკმლებში ჩასმული იყო ალათები, რომელზედაც ამოღებული იყო წრიულ ფორმის ხვრელები, მაგრამ მათი აღდგენა აქ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია; საბურავის მოწყობა განზრახულია შემდეგნაირად: ჩვენამდე მოღწეული გუმბათის თავდაპირველი საბურავის თავზე დადებულია ახალი თუნუქის საბურავი, რომელიც ზუსტად იმეორებს სახურავის თავდაპირველ ფორმას. ამავე დროს, ახალი სახურავი დაიცავს შემორჩენილი ძველი საბურავის ფენას. კარნიშები არ არის შემორჩენილი, პირობით მივიღეთ ადრინდელი დროისათვის დამახასიათებელი მარტივი ფორმის — თარო — კარნიში, ისე როგორც გაკეთებულია ეს უკვე გუმბათზე. საჭიროა ძეგლის შიგნით თავდაპირველი იატაკის დონეზე გაიმართოს ახალი იატაკი, გარედან კი უნდა განთავსდეს უფლდეს მიწით დაფარული ცოკოლი. ძეგლის ირგვლივ უნდა მოეწყოს ქვის ფენილი, რომელიც საძირკველს დაიცავს ნალექებისაგან.

დასასრულ საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ძეგლის გარემოცვა გვიკარანხებს დაცვის ზონის ხაზზე მავთულის ბადის ღობით მის შემოფარგვლას. სისტემატური მეთვალყურეობით კი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, როგორც ძეგლის მოვლა, ასევე დამთვალეობებელთათვის მისი ჩვენება.





წრომი. აღმოსავლეთის ფასადის სქემა  
აღდგენილი ვუმზათით.


Цркви. Схема Восточного фасада  
с восстановленным куполом.

## ლევან ხიჭიაშვილი

### წრომის ტაძრის გუმბათის აღგენის საკითხისათვის

წრომის ტაძარი წარმოადგენს ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების კლასიკური პერიოდის ძეგლს (VII ს. დასაწყისი). თავისი არსებობის მანძილზე ძეგლმა განიცადა მრავალი ნგრევითი დეფორმაციები, ამიტომ უკანასკნელი 1940 წელს მომხდარი ძლიერი მიწისძვრების შედეგი იყო.

მძიმე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლის შეცნეურული დაცვის მიზნით 1955 წლის აგვისტოში წრომის ტაძარი ინახულა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის სამმართველოს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს ექსპედიციამ. ამ დროს ჩამოყალიბებულ იქნა წინასწარი მოსაზრებები ძეგლზე ჩასატარებელი სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ. ეს მოსაზრება გააღვიძა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად. წინასწარი მოსაზრებების განხილვისა და დამტკიცების შემდეგ ჩატარდა ძეგლის კვლევა ნატურაში, შემუშავდა რესტავრაციის პროექტი, რომელიც სან ეტაპად უნდა განხორციელებულიყო.



წრომი. ზედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აღდგენამდე.  
 ЦромИ. Общий вид до реставрационных работ.



წრომი: ზედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ნაწილობრივ აღდგენის შემდეგ.  
 ЦромИ. Общий вид после частичной реставрации.

პირველი ეტაპი — მიწისძვრების შედეგად გადახრილი კედლების გასწორება-გამაგრებას ითვალისწინებდა.

მეორე ეტაპი — აღდგენა-გამაგრებით სამუშაოებს გუმბათის ფუძემდე, ხოლო მესამე ეტაპი — მთლიანად — დაკარგული გუმბათის აღდგენას.

პირველი და მეორე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულდა 1959-66 წწ. რის შესახებ მასალები გამოქვეყნებულ იქნა კრებულ „თვლის მეგობარის“ მე-14 ნომერში (1963 წ.). ამ ეტაპებზე ჩატარებული სამუშაოების შესახებ საკითხი განიხილა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-მეთოდური საბ-



წრომი. საერთო ხედი გუმბათის შაკეტის მოწვობის შემდეგ.

Цромн. Общий вид после устройства макета купола.

ქოს სპეციალურმა კომისიამ ჩატარებული სამუშაოები დადებითად შეფასდა. (დასკვნა წრომის ტაძარზე სარესტავრაციო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. წრომი 1964 წლის 13 იანვარი).

ამ წერილში კი ჩვენი ვურადღება გვსურს გავამახვილოთ მესამე ეტაპით გათვალისწინებულ სამუშაოებზე. ვიღრე გადავიდოდეთ წრომის ტაძრის გუმბათის აღდგენას პრაქტიკულ საკითხებზე საკვირიდ მიგვაჩნია რამოდენიმე სიტყვით შევწერდეთ ნისი აღდგენის აუცილებლობაზე. ამის შესახებ ჭარბული ხუროთმოძღვრული ძეგლების ცნობილი მკვლევარი ნ. პ. სვეეროვი წერს:

«В сумме факторов, слогающих архитектурный образ Грузинского купольного храма, роль и значение купола столь велика, что если этот элемент (купол) отсутствует, то архитектурный образ объекта распадается, произведение искусства передает восприятие непосредственно, т. е. впечатление от храма без купола не бывает полным, законченным». (Н. П. Северов «Архитектурный образ Цромн», Тб., 1950.

1965 წელს გუმბათის აღდგენის პროექტი სარევენშიოდ გადაეცა აკად. გ. ნ. ჩუბინაშვილს. რეცენზიის დასკვნაში ვკითხულობთ:

«Полагаю, что намерение (куполу) дать упрощению все архитектурные формы вполне правильно и его нужно приветствовать».

(Г. Н. Чубинашвили — письмо на имя нач. управления по охране памятников культуры МК. Гр. ССР. 2 июня 1965 г.).

ჩვენის აზრით ტაძრის გუმბათის აღდგენას ჯანაპირობებს: გუმბათი, როგორც ხუროთმოძღვრული კომპოზიციის დამამთავრებელი და კონსტრუქციულად შემკრაფი ელემენტი, გარდა ამისა, როგორც კონსერვაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.



გუმბათის უქონლობის გამო წვიმის წყალი დიდი რაოდენობით ჩადიხტნავლობისას შიგნით, ასევეებს და რეცხავს გუმბათქვეშა ბურჯებს, მცირდება ბურჯების კვეთი და ახლო მომავალში მოსალოდნელია ძველის ცენტრალური ნაწილის მთლიანი და-  
ლუპვა. ამრიგად, გუმბათის ღია ნაწილში სახურავის მოწყობა აუცილებელი პირობაა. მხოლოდ გადასაწყვეტი რჩება საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს ეს სახურავი. ჩვენი აზრით სასურველია, რომ ამ სახურავმა წვიმის წყლის დცილების გარდა შესრულოს ნემკრავი კონსტრუქციის როლი და ამვე დროს ალაღვინოს თავდაპირველი კომპო-  
ზიციური მთლიანობა. ვინაიდან გუმბათის აღდგენა ანალოგიის მეთოდით უნდა შესრუ-  
ლდეს და ეს გუმბათი იქნება როგორც XX ს. პროდუქტი, აღდგენა უნდა მოხდეს მსუ-  
ბუქი, თანამედროვე კონსტრუქციებით და ძველისაგან განსხვავებული მასალით.

1976 წლის 20 იანვარს (ოქმი № 1) საქართველოს კულტურის სამინისტროს ძველთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ განიხილა საკითხი წრომის ტაძარზე სარესტავრაციო სამუშაოთა მიმდინარე-  
ობის შესახებ და დადგინდა, რომ გუმბათის აღდგენამდე მოეწყოს ხის კონსტრუქ-  
ციებით გამართული სასანჯი მაკეტი.

გუმბათის ფორმას ადვილზე შემორჩენილა კვალი განსაზღვრავდა. კერძოდ, ტრო-  
მპების გადახურვამდე იყო კვადრატული, ხოლო მის შემოთ რვაკუთხედი. მთავარი ამოცანა გუმბათის რვაწახნაგოვანი პრიზმის სიმაღლის დადგენა და სახურავის ქა-  
ნობის განსაზღვრა იყო.

მაკეტის ასაგებად ვისარგებლეთ ნ. პ. სევეროვის მიერ ანალოგიის მე-  
თოდით დადგენილი მონაცემებით (იხ. შემოდასახელებული ნაშრომი). ანალო-  
გიურ ძველებად გამოყენებული აქვს მცხეთის ჯვარი, სამწვერისი, დავითიანი და  
დრანდა. სომხეთის ძველებიდან: ალამანი, რიფსიმე, ოდუნი, გაიანე, მრენი და ბაგ-  
ავანი. ამ ძველების შედარების დროს ნ. პ. სევეროვი მიმართავს გუმბათის გეგმის  
ფართობის და ტაძრის საერთო ფართობის შეფარდებათა კანონზომიერების განსაზღვრას,  
და ამ შეფარდებას უწოდებს „გუმბათის ხვედრით წონას“, რომელიც გარკვეულ რაილს  
თამაშობდა საერთო კომპოზიციის გადაწყვეტაში. არკვევს, რომ გუმბათებს, რომელ-  
თა ხვედრითი წონა დიდია, შედარებით ნაკლები სიმაღლე აქვთ. ადგენს გუმბათის  
სიმაღლის და სიგანის შეფარდებას კოეფიციენტს. აბსიდების კარნიში მიჩნეულია  
მთავარ პირიზმენტალურ სარტყელად, რომელიც მთელ სიმაღლეს ჰყოფს ოქროს კვე-  
თის შეფარდებით. ადგენს, რომ წრომის ტაძრის სიმაღლე (ოკოლიდან გუმბათის  
კარნიზამდე  $H = 18,0$  მ. გუმბათის სიმაღლე  $H_1 = 0,8$ ,  $A = 7,60$  ( $A$  გუმბათის სიგანეა),  
ხოლო გუმბათის რვაკუთხა პრიზმის სიმაღლე  $h = 4,7$  მ.

ნ. პ. სევეროვის მიერ ანალოგიის მეთოდით აღდგენილია გუმბათის ვარე  
ზომები. ნატურაში აღდგენისათვის კი საჭირო იყო დამატებითი გრაფიკული გამოთ-  
ვლების ჩატარება, რათა საბოლოოდ დაგვეზუსტებინა აღსადგენი ნაწილების ზომები.  
ამრიგად გუმბათის კვადრატის შიდა ზომები აღმოჩნდა  $7,40 \times 7,40$  მ. ხოლო ვარე  
 $9,50 \times 9,50$  მ. შიგნიდან კვადრატთან წრეზე გადასვლა განხორციელებულია ტრომ-  
პების საშუალებით: I რიგის ტრომპების ფუძე თარაზოდან  $10,94$  მ სიმაღლეზეა. თვით  
ტრომპის სიმაღლე ტოლია ტრომპის დიამეტრის ნახევრისა, ხოლო დიამეტრი კი  
ტოლია კვადრატში ( $7,40 \times 7,40$  მ.) ჩახსული ტოლგვერდა რვაკუთხედის გვერდისა.  
რვაკუთხედის ერთი გვერდი ტოლია  $3,10$  მეტრის, ამრიგად, ტრომპის სიმაღლე ტოლია  
 $1,55$  მ.

ვინაიდან წრომის ტაძარში I რიგის ტრომპების ფუძე გუმბათის სარკმელზე და-  
ლა მოთავსებული, ამიტომ მეორე რიგის ტრომპები I რიგის ტრომპებს ვერ დაეყრდ-  
ნობოდა, როგორც ეს სამწვერისშია, ის მოთავსებული უნდა ყოფილიყო სარკმლის  
გადამხურავი თალის ზემოთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო გახდა შიგნიდან სარკმლის გადამხურავი  
თალის დონის დადგენა. ანალოგიით მიღებული გარე ზომებიდან გრა-  
ფიკული გამოთვლის და ზოგიერთი კვალის დახმარებით სარკმლის შიდა სიგანე დად-  
გინდა 1,20 მ, ხოლო 0,60 მ გარე სიგანე. აქედან სარკმლის შიდა გადამხურავი თა-  
ლის რადიუსი ტოლია 0,60 მ. ამ თალის ცენტრი მდებარეობს სარკმლის გარე  
ცენტრის დონეზე, ამრიგად დადგინდა სარკმელთა გადამხურავი თალის დონე შიგნი-  
დან, I რიგის ტრომპების ფუძიდან 3,80 მ, ხოლო თვით სარკმლის სიმაღლე 2,80 მ.

მეორე რიგის ტრომპები, როგორც ვთქვით, გუმბათის სარკმლის გადამხურავი  
თალის ზემოთ უნდა ყოფილიყო ან უკიდურეს შემთხვევაში მის დონეზე. თალის შუბ-  
ლის ქვის სიმაღლეს ანალოგიით 25-30 სმ ვიღებთ და მის ზემოთ თუქვსმეტკუთხედზე  
გადასასვლელად მოსასწორებელ რიგს 25 სმ მაშინ გამოდის, რომ პირველი რიგის  
ტრომპების ფუძიდან გუმბათის ნახევარსფერული თალის ფუძემდე სიმაღლე ტოლია  
4,25 მ. ამ დონიდან შემოიხაზული წრეხაზი უსუსტად თავსდება გუმბათის  
გადამხურავის გარე კონტურებში, რომლებიც ნ. პ. სვეეროვის მიერ იყო დადგენილი.

1976-77 წწ. სხვა საკონსერვაციო სამუშაოებთან ერთად ფანერისაგან აღდგენილ  
იქნა გუმბათი. სამუშაოები მეტად შრომატევადი და ფაქიზი აღმოჩნდა, მითუმეტეს,  
რომ ეს ჩვენთან ძველთა დაცვის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო სამუშაოს წარ-  
მოებაში დიდი მონდობება და ცოდნა გამოიჩინა სპეც. სამეცნიერო სარესტავრაც-  
იო სახელოსნოს უბნის უფროსმა ინჟინერმა გიკო ტყეშელაშვილმა და ოსტატთა  
ბრიგადამ. სამუშაოს წარმოების დროს მუდმივ კონსულტაციებს ვვიწვევდა სახელოს-  
ნოს მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი ვახტანგ ცინცაძე.

აღდგენილ გუმბათზე დაკვირვებამ, ფოტოსურათების ანალიზმა დაგვარწმუნა,  
რომ გუმბათის გაბარიტები ჰირითადად სწორად არის დადგენილი. ამავე დროს შეიძ-  
ლება ზოგიერთი დეტალი მოითხოვდეს კორექტივას გუმბათის, დაშენებით აღდგა  
წრომის ტაძრის დიდებულება მხატვრულ—არქიტექტურული ორგანიზმის მთლიანობა.

1977 წლია 4 ოქტომბერს წრომის ტაძარი, ზოწყობილი ხის გუმბათით შემოწმე-  
ბის მიზნით, ინახულა საქართველოს კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა  
დაცვისა და სახვითი ხელოვნების სამმართველოს სამეცნიერო საბჭომ. დათვალთვრების  
შედეგად საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია: მომავალში გუმბათის აღდგენა მის განზო-  
მილებებში ზოგიერთი კორექტურის შეტანის შემდეგ.

## ახლადგამოვლენილი მხანებლოზის სიძველეთა ნაშთები თბილისის სიონში

თბილისის საეპისკოპოსო ტაძრის — სიონის სამშენებლო ცხოვრება, მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი დედაქალაქის ისტორიულ ცხოვრებასთან. ფეოდალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი ბრძოლებით გამოწვეული ნგრევა, არა ერთხელ დასტყდომია თავს სიონს, ამიტომ მისი აღნაგობა არ წარმოადგენს ჩანაფიქრის მთლიან ხუროთმოძღვრულ შედეგს, მისი ორგანიზმი შეიცავს მრავალსაკუნოვან, მრავალგზის შენება-ნგრევა-აღდგენის კვალს<sup>1</sup>.

აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე ძველის მეგობრის ფურცლებზე (1971 წელს № 25) გვაცნობს ძველის ისტორიულ ცხოვრებას სამშენებლო პერიოდიზაციით და აღნიშნავს, რომ „სიონი ბევრჯერ გადაკეთდა, თავდაპირველი გლეხის კვალი ახლა ძნელი საცნობია. სიონის შესწავლა დღესდღეობით ძნელია, რაკი ეს მოქმედი კვლევაა და შიგ საგანგებო კვლევა-ძიება, მრავალრიცხოვან შეკეთება-აღდგენათა გასარკვევად არ ხერხდება“<sup>2</sup>.

1975 წელს, სრულიად საქართველოს საპატრიარქომ აღიარა საკითხი სიონის ტაძრის რესტავრაციის და მიმდებარე ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარების შესახებ. ფრიად ინტენსიური მუშაობა გაჩაღდა 1978 წლიდან. ამ გარემოებამ საშუალება მოგვცა რესტავრაციის პროექტის შესრულებასთან ერთად გვეწარმოებინა კვლევითი ხასიათის სამუშაოები, რაც როგორც წესი რესტავრაციის პროექტის განუყოფელი ნაწილია.

აწინდელი თბილისის სიონი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა, გეგმა წარმოადგენს წაგრძელებულ სწორკუთხედს პლუს საკურთხევის და პასტოფორიუმების მრავალწახანგა შეერილი აფსიდები, ტაძრის კედლების სისქე საშუალოდ 1,5 მ-ია (!). გუმბათი ყვლითურთ ეყრდნობა დასავლეთის ორ თავისუფლად მდგომ ჯვრისებურ კვეთის სვეტს (!), საკურთხევის ბემის კედლებთან შერწყმულ ბურჯებს<sup>3</sup> და მათზე გადავლებულ ისრული მოხაზულობის თალებს. აღმოსავლეთის და დასავლეთის მკლავები სიგრძეზე ღრმს ქმნის, სამხრეთის და ჩრდილოეთის მცირე სიღრმისაა. გუმბათებზე დასავლეთის სვეტები გრძივ, პარალელურ კედლებთან დაკავშირებულია, მძიმე, მუზარადისებური, კესონებიანი თალებით. ტაძრის სხვა თალები ნახევარწრიულია. მარმარილოს იატაკის სიბრტყე დახრლია უჩვეულოდ საკურთხევის მიმართ და საკურთხეველი ორსაფეხურანია.<sup>4</sup>

სამკვეთლოში შესვლა შეიძლება ტაძრის ძირითადი სივრციდან, ასეთივე შესასვლელი უნდაა ქონოდა სადიაკვნესაც. ამგვარად შიდა სივრცის აღქმა დასავლეთის, გვიანდელი პარადული კარიდან იწყება სამხრეთის კარი გადაკეთებულია და დასავლეთთან შედარებით დაბალია და ვიწრო. საკურთხევიდან თალოვანი გასასვლულებია სადიაკვნესში და სამკვეთლოში, ამ უკანასკნელიდან მეტისმეტად დაბალი ამკარად გვიან გაჭრილი კარით სიონის ეზოში შეიძლება გასვლა.




სიონი. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

Сиони. Общий вид с юго востока.

სიონის ტაძრის გარეგან საერთო შთაბეჭდილებას ბოლნისის ტუფით მოპირკეთებული უზარმაზარი გლუვი ფასადები, აღმოსავლეთის შეერილა აფსიდები და საკმლავებით დასერილი თექვსმეტწახნაგა გუმბათის ყელი ჰქმნის. თბილისური რელიეფი სიონს მუხუთე ფასადს მატებს საბურავის სახით, იგი მთლიანად ღორფანით ყოფილა დამშვენებული გულმოდგინედ დამუშავებული რელიეფური, ვანედლებული ჯვრიანი ლილეგებით.

4. „ჭავჭავის მეგობარი“ № 50, 1979 წ.



სიონი. გეგმა.

Сиони. План.

თბილისის სიონი მოიცავს სხვადასხვა დროის მშენებლობას VI-VII სს. მიჯნიდან ვიდრე XVIII ს-მდე<sup>1</sup>. თავისი ხელი დაატყო სიონს XIX საუკუნის მშენებლობამ, ამ დროს უნდა მიეკუთვნოთ კარ-სარკმელთა გაბარიტები და პროფილები, მრავალი საპირე ქვა, სამხრეთის მინაშენის ნაწილები, დასავლეთის შემინული კარიბჭე, ტაძრის თუნუქის საფარი და პაზალტის ცოკოლი საპირე წყობის მუქი ლენტით. მიუხედავად ამისა, ტაძარი ხუროთმოძღვრული მასების შუასაუკუნეობრივი წყობით და ერთიანად ბოლნისის ტუფით მოპირკეთების წყალობით მთლიან შთაბეჭდილებას ახდენს.

ტაძარზე ჩატარებული წინასწარი კვლევითი შედეგები მოხსენდა საქართველოს, სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სამეცნიერო მეთოდ-საბჭოს. გამოკვლენილი სამშენებლო ფენები მეთოდ-საბჭოს კომისიამ ნატურაში განიხილა. გადაწყდა ტაძრის მშენებლობის ადრეული ფენების მაქსიმალური გამომვლენება და მისი აღდგენა-გამაგრება. ტაძრის საგრძნობ ნაწილზე გამოვლინდა: მძლავრი ორსაფეხურიანი ცოკოლი, კედლის საპირე კვადრების თანადროული წყობით, ჩრდილოეთით (ეკვდრის?) მინაშენის ნაშთი, სხვადასხვა სამშენებლო ფენა, დაზუსტდა სამხრეთის მინაშენის თავდაპირველი ფუნქცია და სხვ.<sup>2</sup>






პირველად შურფი წარმოებულ იქნა ტაძრის ჩრდ-დასავლეთის კუთხესთან, დადასტურდა მშენებლობის ძველი ფენა ორსაფეხურიანი ცოკოლით. მისი მხატვრულ-კონსტრუქციული ხასიათი, მკაფიოდ იკითხება აშკარად მოპირკეთების მიზნით, კედლის მიდგმული ბაზალტის ატიქტონიკური ცოკოლის ფონზე. შემდგომში შურფი ტაძრის პერიმეტრის ოთხსაფეხურე მხარეს ამოვიღეთ. ჩრდილოეთიდან ფასადთან გამოჩნდა ფლეთილი ქვებით ამოყვანილი მინაშენის ნაშთი. ტაძრის ჩრდ-აღმოსავლეთის კუთხიდან, სამხრეთის მინაშენის გავლით ვიღრე დასავლეთის კარიბჭემდე, მოიხსნა ბაზალტის ცოკოლი. მის მიღმა გამოვლინდა ორსაფეხურიანი ფერფლის ტუფით ნაგები ცოკოლის ნაშთი კედლის საპირე წყობის რიგით. გახსნილი ნაწილი გაიწმენდა აგურისაგან, რომელიც ბაზალტის ცოკოლის საფუძვლად, მის მოსაწყობად იყო გამოყენებული.

აღმოსავლეთის ფასადს ცოკოლი ორ საფეხურად გასდევდა, მარცხენა ნახევარში რომელიც საფუძვლიანი მშენებლობის დროს, მეორე საფეხური მოუშლიათ და პირველ, დარჩენილ საფეხურზე ქვიშა-ქვის დიდრონი კვადრებით კედლის საპირე წყობა ამოყვანიათ. მარჯვენა ნახევარში შემორჩენილია ორივე საფეხური თანადროული ნიშით. აქვე შემორჩენილია 1.5 მ<sup>2</sup> ფართობის უხეშად გათლილი ქვით მოგებული ეზოს მოკირწყება ფერფლის ტუფით წყობა ფერადოკანია, უმთავრესად მაინც მომწვანო ფერი ჭარბობს. საძირკველი ფლეთილი ქვითაა ამოყვანილი, აქა-იქ აგურია ჩართული (24×24×5 სმ). ასეთივე აგურია ერთრიგად დაწყობილი, საკურთხეველის ცოკოლის პირველი საფეხურის ქვეშ, მარჯვენა ნიშთან. შემაკავშირებელია დუღაბი, გარეცხილი მრავალმარცვლოვანი ქვიშის ნარევით კირთან. საძირკვლისათვის, ცოკოლისათვის და ფერფლის ტუფის საპირე ქვებისათვის დუღაბები იდენტურია. აღმოსავლეთის ფასადის ქვედა ნაწილების გახსნამ გამოავლინა სამშენებლო ფენები:

1. ორსაფეხურიანი ცოკოლი და მისი შესაბამისი ფერფლის ტუფის საპირე წყობის ფრაგმენტი.
2. ქვიშა-ქვის კვადრების წყობა აღწ. ფასადის მარცხენა ნახევარში და სამხრეთის ფასადზე მინაშენამდე.
3. ძლიერ დაზიანებული, არეული უსისტემოდ წყობილი კვადრები ფასადის მარჯვენა ნახევარში სამკვეთლოს ჩათვლით.

ძველზე შემორჩენილი მონაცემებით შეიძლება საკურთხეველის ცოკოლის ტუხილის კონტურის აღდგენა. (იხ. ნახ. 1) იგი რეგულარული წესიერი ხუთგვერდაა, ლოგიკურია ასეთივე რეგულარული უნდა ყოფილიყო აფსიდის ხუთწახნაგა შეერილი. სამწუხაროდ, მრავალგზისმა საფუძვლითურთ ნგრევა-აღდგენამ, სახე უცვალა არა მარტო კედლის საპირე წყობას, არამედ საკურთხეველის გეგმის კონტურსაც. ფასადის მრავალწახნაგას თავდაპირველმა ხაზებმა, მხოლოდ მარჯვენა ნიშით მოაღწია. აქ კონსტრუქცია იმთავითვე უფრო მყარი იყო და ძნელად ხელმისაწვდომი.

აღმოსავლეთის ფასადზე მომავალში თვალსაჩინო იქნება მშენებლობის მრავალშრიანობა, ცოკოლი მარჯვენა ნახევარში თავდაპირველი სახით, ორ საფეხურად აღდგება, მარცხენა ნახევარში კი ერთსაფეხურად, თუმცა იგი აქაც უდავოდ ორსაფეხურიანი იყო. მოსპობილ მეორე საფეხურზე საკმაოდ ძველი ქვიშა-ქვის კვადრები წყობილი, რაც თავიანთივე ძველის სრულფასოვანი ელემენტია. ფასადზე



სიონი. სამხრეთის ფასადი. რეკონსტრუქცია.

სიონი. Южный фасад. Реконструкция.

გასამაგრებელია დედა დულაბს მოცილებული ბოლნისის ტუფის რამდენიმე საპირე ქვა.

ტაძრის სამხრეთით, მინაშენის მარჯვნივ და მარცხნივ კარგადაა შემონახული ორსაფეხურიანი ცოკოლი, მეტადრე მარცხნივ დიდრონი ფურფლის ტუფის საპირე კვადრების წყობით. აქვე, ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან, ცოკოლის პი-



სიონი, სამხრეთ-დასავლეთის კუთხე გაბ-  
სნის შემდეგ.

Сиони, Юго западный угол после  
открытия.

სიონი, სამხრეთის კარიბჭის შესასვლელის  
ორნამენტული ბაზა



Сиони, Орнаментальная база юж-  
ного прогнора.


რველი საფეხურის გვერდით ზედაპირზე, ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა. ქვის მარცხენა მხარე ჩამოკვეთილი ჩანს, ასოთა სიმაღლე 9 სმ-ია. იკითხება (...სი ნნ).

მნიშვნელოვანი მასალები შეგვძინა ტაძრის დასავლეთის ფასადის გახსნილმა ნაწილმა. ამ მხარეს ორსაფეხურიანი ცოკოლი აღარ გრძელდება, სამაგიეროდ გამოჩნდა დასავლეთის ფასადის სიბრტყიდან 12 სმ-ის სიგანით გამოწეული საძირ-კველი ზედ აღმართული კედლის ძველი ფრაგმენტით. კედელი ოდესღაც დაზიან-



ნებული ყოფილა და ნაჩქარევად შეუკეთებიათ. შემდეგ შეკეთებულ-შეღებულ კედლის ზედაპირი, ტაძრის საფუძვლიანი გადაკეთების შედეგად ორსაფეხურიანი ცოკოლის მიღმა დარჩენილა (იხ. ნახ. ). ორსაფეხურიანი ცოკოლის და ჯერჯერობით, უძველეს ფრაგმენტად მიჩნეულ სამშენებლო ფენების ქრონოლოგიურ განსხვავებას ვერტიკალურ დონეთა სხვაობაც მიუთითებს (იხ. ნახ. ).

ამრიგად, თბილისის სიონის საფუძვლიანი გადაკეთების ნაშთია ორსაფეხურიანი მძლავრი ცოკოლის და კედლის საპირე წყობის გამოვლენილი სამშენებლო ფენა, ხოლო მასზე უფრო ადრინდელმა სამშენებლო ფენის ფრაგმენტებმა დასავლეთის ფასადის უკიდურესად ქვედა ნაწილებით მოაღწია ჩვენამდე. საფიქრებელია, სიონის არსებულ (1,5 მეტრის სისქის) კედლეში მშენებლობის სხვა, უძველესი ნაშთებიცაა დარჩენილი.




სიონი. წარწერა სამხრეთის ცოკოლზე.

Сиони. Надписи на южном цоколе.

სიონი. ტაძრის გახსნილი სამხრეთ-დასავლეთის კუთხე.

Сиони. Юго-западный угол после открытия.



სამხრეთის მინაშენის ნალესობისაგან გაწმენდის შედეგად გამოჩნდა გადაკვეთის მრავალი კვალი, ძირითადად სხვადასხვა ზომის აგურის დაუღვარი წყობით (აგურის ზომებია 23×23×4 სმ, 20×20×4 სმ...) აქა იქ გაბნეულია რიყის ქვა. მინაშენის ქვედა ნაწილებში, მეორადი გამოყენების ნამტვრევი აგურის წყობა მოიხსნა. გამოვლინდა ფერფლის ტუფის კედლის საპირე წყობის ძლიერ დაზიანებული რიგები, ზოგჯერ საპირე ქვა მოსპობილია, ამ ადგილებში დულაბი ატმოსფერული ნალექების შემოჭმუდებით ჩამორეცხილი ყოფილა. ეს გვაფიქრებინებს, რომ მინაშენი რაღაც დროის განმავლობაში დანგრეული სახით არსებობდა. ზონდავმა გამოავლინა მინაშენის სამხრეთის შესასვლელის ორნამენტაანი ბაზემი, მათ შორის მანძილი (მალი) 324 სმ-ია. მიკვლეული ბაზემი კარიბჭის თაღოვანი შესასვლელის ნაშთია. ტაძრის სამხრეთი კარი და კარიბჭის თაღოვანი შესასვლელი ერთ ღერძზეა. (იხ. ნახ. ) ამრიგად, გაირკვა სამხრეთის მინაშენის თავდაპირველი ფუნქცია, იგი კარიბჭეა.

პირველი რივის სარესტავრაციო სამუშაოებით განზრახულია სამხრეთის კარიბჭის ნაწილობრივი აღდგენა. ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა დადასტურებული კარიბჭის საფუძველზე, სიონს დაუბრუნდეს ქართული გუმბათოვანი ტაძრების შიდა სივრცის აღქმის ძირითადი პრინციპი სამხრეთის შესასვლელით.

<sup>1</sup> სიონის საკრებულო ტაძართან დაკავშირებულია მთელი რიგი ლირსშესახისშავი მოვლენები და ისტ. ფაქტები. ამდენად მის ზეროთომოდერებათან ერთად მნიშვნელოვანია მისი მემორიალური მხარეც.

<sup>2</sup> ვახტანგ ზერიძე. თბილისის ზეროთომოდერული ძეგლები: „ძეგლის მეგობარი“, № 25, თბ., 1971, გვ. 21-26.

<sup>3</sup> ზემის ედელთან შერწყმული გუმბათქვეშა ჩრდ.-აღმოსავლეთის ნერკი თლილი კვადრებითაა ნაშენი. ზონდავი ფიქსირებულ იქნა არქ — რესტავრატორ ნ. ხაზუნისვილთან ერთად.

<sup>4</sup> შარშარილოს იატაკის ხარჯთაღრიცხვა (საფიქრებელია პროექტიც) არქ. ჩიეოვს შეუდგენია. „დროება“, 1882, № 261, გვ. 2. სიონისადმი დიდი მზრუნველობა აღმუქვლილია XIX ს-ის მრავალრიცხოვან წერილებში, ტაძრისადმი მიძღვნილია ცალკე წიგნიც. იხ. ტემალაძე მ. ტფილესიონისკი კაფედრალნიი სობორ, ტიფლის, 1904.

<sup>5</sup> ამჟამად სიონის არსებული თენუქის საფარის განახლება თენუქითვეა განზრახული.

<sup>6</sup> სავისისკობო ტაძრის დამაარსებლად. ისტ. პლატონ იოსელიანს ვახტანგ გორგასალი შიანია იხ. Пл. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, 1886, გვ. 91, Т., 1866.

<sup>7</sup> მიწისა და სხვა შრომატევადი სამუშაოები შესრულდა ფიზიკის და სხვა ინსტიტუტების თანაშრომელ. ენთუზიასტთა ხელით, არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ზედამხედველობას აწარმოებდნენ. ისტ. მეცნ. კანდიდატი იო. ტყეშელაშვილი, ძველთა დაღვის მთ. სამმართველის არქეოლოგიის განყოფილების თანაშრომლები და წერაილის ავტორი.

<sup>8</sup> მიკვლეული სამშენებლო ფენების ქვის ჭიშების შესახებ მეტად საპირო ცნობები მოგვაწოდა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ნ. სხირტლაძემ და მისმა მოწაფემ გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. თუმბერიაძემ.



ალვანი. კანკელის მოხატულობა.

Алвани. Роспись канцели.

## მარინე ჰაჩნაძე

### მოხატული კანკელი ალვანის „ნათლისმცემლის“ ეკლესიიდან

კანკელი ეკლესიის ინტერიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომელიც ყოფს მას ორ ძირითად ნაწილად. საკურთხეველი, გამოყოფილი მის მიერ, რჩებოდა მლოცველთა თვალს მიღმა, საკულტო რიტუალის საიდუმლო უზილავი ნაწილი, რომელიც კანკელის იქით, საკურთხეველში ხდებოდა, აძლიერებდა მლოცველთა საღვთო განწყობას და ხაზს უსვამდა იმ ზღვარს, რომელიც არსებობდა მიწიერსა და ზეციერს შორის.

მისი მნიშვნელობა ძლიერდებოდა იმითაც, რომ საკურთხეველთან ერთად იგი ყოველთვის მლოცველის თვალწინ იყო.

ამიტომ გასაგებია, რომ კანკელს მნიშვნელოვანი ფუნქცია უკისრა და ეკლესიის მთლიან მორთულობასთან ერთად, მის შემგობასაც დიდი ყურადღება ექცეოდა.

კანკელის წარმოშობასა და განვითარებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამ საკითხებს მიეძღვნა მდიდარი ლიტერატურა.<sup>1</sup> ყურადღებას იპყრობს ვ. ლაზარევის დასახელებული ნაშრომები, რომლებშიც ავტორი ეხება კანკელის პირვანდელ ფორმასა და მის განვითარებას. მკვლევარი ამტკიცებს, რომ ბიზანტიამი კანკელი თავიდანვე დაბალი იყო. მან დროთა განმავლობაში ახალი ფუნქცია შეიძინა — გახდა ხატების დასადგმელი ადგილი. ხატები, რომლებიც სრულდებოდა ფიცარზე (ტემპლონზე), ჩვეულებრივ იდგმებოდა კანკელის არქიტრავეზე. გამოსახულებათა რაოდენობის გაზრდასთან ერთად, გრძელდებოდა ტემპლონიც, რუკეთმა თავდაპირველად ბიზანტიისაგან გადაიღო კანკელის ფორმა, შემდგომ კი ტემპლონი ცალკე ხატებად დაიყო. რომელთა რაოდენობა ძლიერ გადიდა. ამიტომ კანკელი თანდათანობით სიმალღემციც გაიზარდა, XV ს-დან კი მთლიანად დამალა საკურთხეველი მაყურებლისაგან. ეს უკვე კანკელის ახალი ფორმა იყო, რომელსაც შესაბამისად რუსული სახელი დაერქვა — იკონოსტასი.



საქართველოს ბევრ ძეგლს აქვს კანკელი — ზოგი მთლიანად, ზოგი კი ფრაგმენტების სახით შემორჩენილი.

დაწეებული უადრესი ხანიდან, VI საუკუნიდან, მათ ყოველთვის ქონდათ ნაციონალური თავისებურება, რაც გამოიხატება როგორც ფორმაში, ისე განსაკუთრებულ მორთულობაში.

ქართულ კანკელებს მიუძღვნა რენე შმერლინგმა თავისი ფუნდამენტური ნაშრომი — «Малые формы в архитектуре средневековой Грузии»<sup>2</sup> სადაც I—IV თავებში დაწვრილებით აქვს განხილული ქრისტიანულ ტაძრებში კანკელის განვითარება და ფუნქციური დანიშნულება. ავტორი ეხება ქართულ ვკლესიებში საკურთხეველსა და კანკელის მოწყობილობასა და კანკელის სტრუქტურის განვითარებას სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე. ამის შემდეგ მკვლევარი განიხილავს კანკელების მრავალ მგავლითს — VI ს-დან XVIII ს-მდე. ძირითადად ეს არის ქვის სკულპტურული ორნამენტებით მორთული კანკელები, რომლებზეც ხშირად გამოსახულია რელიეფური სცენები სახარებიდან, ან წმინდანთა ცალკეული ფიგურები.

შედარებით ნაკლებია საქართველოში მოხატული კანკელები, თუმცა ისინი IX ს-დან გვხვდება.<sup>3</sup> მკვლევარს დაწვრილებით აქვს განხილული ისინი ცალკე X თავში — „Расписные алтарные преграды“<sup>4</sup>. ცალკეა გამოყოფილი XVI—XVIII სს. ძეგლებიც.<sup>5</sup> მაგრამ სამწუხაროდ არსად არ არის ნახსენები ალვანის „ნათლისმცემლის“ ეკლესია, რომელშიც კარგადაა შემორჩენილი კანკელი, XVI ს-ში, ლევან კახთა მეფის დაკვეთით (1520—1574 წწ.) მოხატული და ზუსტად დამართებული ქტიტორული პორტრეტებით.<sup>6</sup>

ალვანის „ნათლისმცემლის“ კანკელი ტიპურია XVI—XVII სს. ძეგლებისათვის. ეს არის კედელი, რომელიც სიმაღლით საკურთხეველის 1/3-ს შეადგენს. მასში გაჭრილია ორი შესასვლელი — ცენტრალური და ჩრდილოეთ კედლისაკენ, ხოლო სამხრეთ კედლისაკენ პატარა სარკმელია. ასეთივე კანკელებია ნეკრესში, მალაღანთ ვკლესიაში, გიორგი საფარისაში, ლელიანში და სხვა. შესასვლელებს ნახევარწრიული თაღები აქვს, ხოლო მათ შორის (სამხრეთისაკენ, ცენტრალურ შესასვლელსა და სარკმელს შორის) — ორ-ორი ფერწერული თაღია გლუვ კედელზე, კიდეებში კი ნახევარ-ნახევარა.

თაღებს ზევით ლამაზი მცენარეული ორნამენტის ზოლია, ოქრათი შესრულებული ლურჯ ფონზე. იგი ორი განიერი შინდისფერი ზოლითაა გამოყოფილი. ორნამენტს ზემოთ გამოსახულია «ვედრება» განვრცობილი რედაქციით. ცენტრში დიდ ტახტრეიანზე, ზის ქრისტე. მარცხნივ (მაცურებლისაკენ) დგას ღვთისმშობელი, მარჯვნივ — იოანე ნათლისმცემელი, ორივე ვედრების პოზაში; ისინი მიმართული არიან მაცხოვრისაკენ. ეს სამი გამოსახულება მოთავსებულია ერთ დიდ, ლამაზი ფორმის, შეისრულ თაღში, რომლის სვეტები გამოყოფენ მას დანარჩენი ფიგურებისაგან. მათ მარჯვნივ და მარცხნივ ვექს-ვექსი მოკიჭულია გამოსახული. თითოეული მათგანი აგრეთვე შეისრულ, მხოლოდ უფრო მცირე ზომის, ვიწრო თაღშია მოთავსებული. თაღები ერთმანეთისაგან გამოყოფილია მოხდენილი კოლონებით. ამ ფრინჯს ორივე მხრიდან ეკტავდა თითო შუბიანი სერაფიმის გამოსახულება ადამიანის სახით, მოთავსებული დიდ შეისრულ თაღს ქვეშ. მარჯვენა სერაფიმი ამჟამად შემორჩენილი არ არის. ორნამენტს ზემოთ მოთავსებული შინდისფერი ზოლი ერთგვარად იატაკის შთაბეჭდილებას გვიქმნის.



ალვანი. კანკელის მოხატულობა.

Алвани. Роспись канцеля.

